პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
საბჭოს ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 179 კვირა 5 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 179

საჯარო ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— 2 აგვისტოს გარდაიცვალა შეერთებული შტატების პრეზიდენტი გარდინგი.

— საფრანგეთის მთავრობა აძლიერებს ჯარებს რურის ოლქში.

— იტალიაში დაიწყო შეტაკებები ფაშისტებსა და მუშებს შორის.

— ათინაში გაიმართა დიდი დემონსტრაციები სიძვირის წინააღმდეგ.

— ინდოეთში ძლიერდება ოპოზიცია ინგლისის პოზიციისადმი

საჰაერო ფლოტის მუშაკები აუწყებენ მეგობრებსა და თანამოსამსახურეებს, რომ წითელ მფრინავის

სიკო დავითაშვილის, მემანქანე **კირილე თაბაკაშვილის და გიორგი კუირუზიანის**

ტრაგიკულად დაღუპვიდან ნახევარი წლის შესრულების თავზე დიდუბის სასაფლაოზე 6 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი.

---

4 აგვისტოდან 12 აგვისტომდე

საჰაერო ფლოტის კვირეულია.

ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

კვირა, 5 აგვისტო: ქართველ წითელარმიელთა კლუბში სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.

ქართული დივიზია—საჰაერო ფლოტს.

სეირნობა „ორჯონიკიძისა და სტალინის“ სახელობის (ყოფ. მუშტაიდი) და წითელარმიელთა ცენტრ. კლუბებში.

ორშაბათი, 6 აგვისტო: კინო საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ (კინო-პალასი, ვარსკვლავი, ეთერი, ოაზისი, არტისტო).

სამშაბათი, 7 აგვისტო: მუშათა ცენტრალურ კლუბში პიესა „წითელი არწივები“.

ოთხშაბათი, 8 აგვისტო: კავკასიის ცალკე არმიის შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტ.—საჰაერო ფლოტს. საღამო წარმოდგენა „დაისების ბაღში“.

ჰაეროდრომზე საჰაერო ფლოტის აღლუმი.

ხუთშაბათი, 9 აგვისტო: პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„წითელი არწივები“. მუშტაიდში მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

პარასკევი, 10 აგვისტო: ნაძალადევი „წითელი არწივები“. ავლაბრის კლუბში—მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

შაბათი, 11 აგვისტო: ავლაბრის კლუბი—„წითელი არწივები“. „ახალ წრეში“ **დიდი სეირნობა.**

კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.**

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

სამშაბათს, 7 აგვისტოს, მუშათა ცენტრ. კლუბის საზაფხულო შენობაში

გაიმართება საბჭოს

გაფართოებული სხდომა

ფაბრიკა-ქარხნების და ადგილ-კომების თანდასწრებით.

დღის წესრიგშია:

საჰაერო ფლოტის კვირეულის მნიშვნელობა. მომხსენებელი ამხ. **ელიავა.**

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. **საბჭოს პრეზიდიუმი.**

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია

აცხადებს, რომ 6 აგვისტოდან ჰაეროდრომზე მოხდება

სანიმუშო გაფრენა

მუშებისა და ექსკურსიებისათვის. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ყველა საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ექსკურსიებთან უნდა მიმართონ ტფილისის კომიტეტში ამხ. ნაზაროვს და საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომს. ტელეფონი 17—38 ან 2—46. **ცენტრალური კომისია.**

საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში მუშტაიდის ბაღში, კახეთის და ვაგზლის მოედნებზე და ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში

აჩვენებენ ჰაეროპლანებს

სათანადო განმარტებებით.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

საბჭოთა კავშირის საჰაერო მიმოსვლა

ავიაცია დიდ შესაძლებლობას უშლის წინ სოც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. მისი სათანადოთ დაყენების დროს იგი იქნება ყველაზე უფრო სწრაფი, იაფი და უვნებელი საშუალება მიმოსვლისა და კავშირის დაჭერისა.

იმპერიალისტური ომის დროს და განსაკუთრებით მის შემდეგ ჰაერში ფრენა—ავიაცია ძალიან სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

რამდენიმე წლის წინად ყველას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ადამიანს ასეთი მძიმე მანქანით გადაეფრინა უზარმაზარი სივრცე, მაგრამ უკვე ახლა, ჩვენ დროს, რამდენიმე ათასი ვერსის მანძილის გადაფრენა, უმაღლესი მთის მწვერვალებსა და ზღვისა და ოკეანების წყლის სივრცეზე, უკვე მომხდარ ფაქტია.

თანდათან უმჯობესდება არა მარტო ფრენის ხელოვნება, არამედ თანდათან ფართოვდება მისი ტეხნიური შესაძლოებანიც: უკვე მოიპოვებიან ისეთი მანქანები, რომელთაც შეუძლიათ ჰაერში აიყვანონ და გადაფრინონ რამდენიმე ასეული ადამიანი მათი ბარგით ან რამდენიმე ფუთი ტვირთით.

თავისთავად ცხადია, რომ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს არ შეუძლია არ მიაქციოს ძალიან დიდი ყურადღება ავიაციას, ხალხთა დაახლოვების ამ მძლავრ საშუალებას, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საჭიროებათა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას, ერთი სიტყვით იმ საშუალებას, რომელიც არის ყველაზე უფრო იაფი, ხელმისაწვდომი და აგრეთვე დაუფასებელი თავდაცვისათვის ყოველგვარ საგარეო საფრთხისაგან.

საბჭოთა რესპუბლიკების მთელი კავშირის, ყველა მის მოქალაქეთა წინაშე სდგას ერთი არსებითი პრაქტიკული ამოცანა: რაც შეიძლება მოკლე ხანში, მთელი საკავშირო ძალების სავსებით გამოყენებით, საფუძველი ჩაუყაროთ ჩვენ საბჭოთა სამოქალაქო ავიაციას, რომელიც ახლა მუშაობს რესპუბლიკათა კავშირის გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, რომელსაც სათანადო საფრთხის დროს შეუძლია გადაიქცეს მრისხანე სამხედრო ძალად.

ჩვენი სახელმწიფო გარშემორტყმულია ბურჟუაზიულ და ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნებით და ეს გარემოება კი იწვევს აუცილებელ პოლიტიკურ მოთხოვნილებას იმისას, რომ სოც. საბჭოთა რესპუბლიკების ყველა შემადგენელ ნაწილთა შორის არსებობდეს რაც შეიძლება სწრაფი და ცოცხალი კავშირი, რასაც ას [illegible]მად სავსებით ვერ ანხორციელებენ ჩვენში არსებული მიმოსვლისა და კავშირის ყველა საშუალებანი: რადიო, ტელეგრაფი, ტელეფონი, ფოსტა და ტრანსპორტი.

ავიაცია არის არა მარტო ყველაზე უფრო ძვირფასი დამატება კავშირის ყველა საშუალებათა, არამედ იგი დამოუკიდებლად ატარებს თავის არსებაში ჯერ არ ნახულსა და მხოლოდ მის ბუნებაში არსებულ უდიდეს შესაძლოებათ.

თანამედროვე საფრენი მანქანების ჰაეროპლანების სისწრაფე უკვე ახლა ძალიან ბევრად აღემატება ხმელეთისა და ზღვით მიმოსვლის ყველა საშუალებათა სისწრაფეს. ის მანძილი, რომლის გავლაც რკინის გზით მოითხოვს 7-დან 10 მდე დღეს, ჰაეროპლანით გადაფრენის დროს შეიძლება გავლილ იქნეს არა უმეტეს ერთი დღის განმავლობაში და არაფერს არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ამ საშუალებით დიდ სივრცეთა გადაჭრის სისწრაფეს პირდაპირი ხაზით გამგზავრების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე.

კონკურენციის გარეშე სდგას აგრეთვე საჰაერო მიმოსვლის უვნებლობა. იმ საჰაერო კომისიის ცნობით, რომელთაც მოწყობილი აქვთ საჰაერო მიმოსვლა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს შორის და ევროპიდან ამერიკაში ატლანტიის ზღვაზე, საჰაერო მიმოსვლის დროს უბედურ შემთხვევათა და ავარიის რიცხვი ბევრად უფრო მცირე. რკინის გზით მიმოსვლის უბედურ შემთხვევებზე და რამოდენიმე ათეულჯერ უფრო ნაკლებია ავტომობილებით მოგზაურობის უბედურ შემთხვევათა რიცხვზე დასასრულ, კონკურენციის გარეშე სდგას აგრეთვე სიიაფე როგორც საჰაერო გზების მოწყობისა და გაყვანისა (წინააღმდეგ რკინის გზებისა), ისე თვით საფრენი მანქანებისა (წინააღმდეგ ორთქლმავლებისა) და აგრეთვე ჰაეროდრომისა და ჰაეროსადგურების მოწყობისა და აშენების სიმარტივე.

პოლიტიკურ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით და მასთან ერთად აგრეთვე ადგილი აქვს ადმინისტრატიული მართვა-გამგეობას მოთხოვნილებას.

მართვა გამგეობისა, ცენტრისა და ადგილების ურთიერთ გავლენისა და ადგილები მუშაობის სათანადოთ წარმართვის ამოცანები შეიძლება განხორციელებულ იქნეს, რაც შეიძლება, უფრო მეტის სისრულით მაშინ, როცა ძალიანი სისწრაფით სწარმოებს დირექტივების დაგზავნა და ურთიერთი მოსაზრების გაცვლა გამოცვლა, როცა ადმინისტრატიული თანამდებობის პირთ აქვთ სწრაფი მიმოსვლის შესაძლოება, წერილების დაგზავნის, ინსტრუქციების მიცემის, სხვა და სხვა დახმარების აღმოჩენისა და კონტროლის გაწევის და აგრეთვე განსაჩივრებისა და აპელაციის გადატანის საქმე და სხვ.—ყოველივე ესენი ბევრად უფრო მოიგებენ ავიაციის შემოღებით.

ჰაერში ფრენის ისტორიიდან

ადამიანი, ხედავდა რა ფრინველების, პეპლების და ზოგიერთ სხვა მწერების ფრენის მშვენიერ მაგალითს, უხსოვარი დროიდან ცდილობდა წაებაძა მათთვის, სცდილობდა ჰაერის დაპყრობას. ამას მოწმობს თითქმის ყველა ხალხში დარჩენილი ლეგენდები. მაგრამ ჰაერში ფრენის ნამდვილი ცდა მოხდა მრავალჯერ 11, 12, 13, 14 და 15 საუკუნოებში. რუსეთში იოანე მრისხანეს დროს „სმერდ ნიკიტკა“ რამდენჯერმე აფრინდა მოსკოვში მეფის თანდასწრებით მფრინველის ფრთების მაგვარ აპარატის საშუალებით. მეფის ბრძანებით მას მოჰკვეთეს თავი, იმიტომ, რომ „ბუნების წინააღმდეგ მიდის. ეს ღვთის საქმე კი არა, ეშმაკის ძალით მოხდაო“.

„ჰაერის უფრო მსუბუქ“ აპარატით სარგებლობის აზრი ადამიანს ძალიან ჩქარა არ მოსვლია. (პირველად ჰაერი ასწონა ცნობილმა მეცნიერმა გალილეიმ 1640 წელს). თვით ბუნებამ მიიყვანა ადამიანი აზრამდე, ესარგებლა ჰაერზე უფრო მსუბუქი გაზით,—ადამიანი ხედავდა ხშირად, რომ კვამლი წვის და დუღილის დროს ზევით იწევს. ცნობილია, რომ ჩინელები, სარგებლობდენ რა კვამლის და გამთბარი ჰაერის თვისებებით დიდი ხნიდან აუშვებდენ ჰაერში დღესასწაულების დროს, მსუბუქ ქაღალდის ბურთებს.

პირველი გაფრენა ბუშტით.

თითქმის პირველად ჰაერში აფრინდა რუსი, სრულიად უსწავლელი კაცი „პოდიაჩი კრიაკუტნოი“ 1731 წელს რიაზანში. მან შეჰკერა დიდი ბუშტი, გაბერა „ცუდსუნოვანი კვამლით“ და უწმინდურმა ძალამ აიყვანა ის ხეებზე ზევით. ის განდევნეს ქალაქიდან, უნდოდათ ცოცხლად ჩაემარხათ მიწაში და დაეწვათ.

1783 წელს პარიზის ახლოს ძმებმა ეტიენ და ჟოზეფ მონტოლფიემ მოახდინეს ცდა, კვამლით გაბერილ ბუშტით, რომელიც 10 წუთის განმავლობაში გაჩერდა ჰაერში; იგივე ცდა მოახდინეს პარიზში მეფე ლუდოვიკ 16 ს თანდასწრებით; ბუშტზე ჩამოჰკიდეს გალია ცხვარით, მამლით და იხვით, რადგან მეფემ არ დართო ნება ადამიანი გაფრენილიყო. მეფემ დაასაჩუქრა ისინი ფულებით და აჩუქა მედალი ზედ წარწერებით: „ასე მიდიან ვარსკვლავებთან“. ამავე დროს ახალგაზრდა ფრანგმა ფიზიკოსმა შარლმა გაბერა ბუშტი ჰაერზე უფრო მსუბუქ გაზით—წყალბადით. 1785 წელს მექანიკოსმა ბლანშერმა მოახდინა ცნობილი გადაფრენა ლამანშის სრუტეზე, საფრანგეთისა და ინგლისს შუა 44 კილომეტრის მანძილზე ამ მექანიკოსმა მოიპოვა დიდი სახელი, გახდა რა პროფესიონალური მფრინავი, დაიწყო მოგზაურობა მთელს ევროპაში. რუსეთში იგი მთავრობამ არ შეუშვა უპასუხა რა მას, რომ „ჩვენში სრულიადაც არ არიან ამგვარი ჰაეროპლანებიო“. 1875 წელს ტისანდიე სიველი და კორჩესპინელი აფრინდენ სამეცნიერო მიზნით 8.600 მეტრი ს (დაახლოვებით 8 ვერს.) სიმაღლეზე. 1901 წელს გერმანელი მეცნიერები ბერსონი და ზიურინგი აფრინდენ 10.800 მეტრის (10 ვერსის) სიმაღლეზე,—ტემპერატურა იქ —50°-ს უდრის და ჰაერი მეტად გათხელებულია. შეეცადენ მოეწყოთ საჰაერო ბუშტზე იალქნებიც, მაგრამ უკანასკნელი ცდა ტრაღიკულად დამთავრდა: 1897 წელს შვედი ანდრე გაემგზავრა ექსპედიციით ჩრდილოეთ პოლიუსზე და ამის შემდეგ მასზე და მის თანამგზავრებზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება. იყო კურიოზული პროექტი გაებათ ჰაერის ბუშტში რამდენიმე წყვილი მოშინაურებელი არწივები.

რა თქმა უნდა ადამიანს დიდი ხნიდან დაებადა სურვილი თავის ნებაზე წაეყვანა თვითმფრინავი, საითაც მას უნდოდა, მაგრამ ეს სურვილი ვერ განხორციელდა სანამ არ გამოიგონეს განსაკუთრებული, მამოძრავებელი.

დირიჟაბლი.

სფეროს მაგვარი თვითმფრინავებს, რომელიც ადამიანის სურვილს ემორჩილება, ეწოდება სახელად დირიჟაბლი. პირველი დირიჟაბლი გააკეთა ჟიფფარმა 1851 წელს. იგი წარმოადგენდა სამ ქედიანი ბურთს და აკეთებდა საათში 10 ვერსს. მამოძრავებელი მუშაობდა ორთქლით.

პირველათ იხმარა მამოძრავებელი და გააუმჯობესა იგი ბრაზილიის მცხოვრებმა სანტოს დიუმონმა პარიზში. გამბედავი ავიატორი რამდენჯერმე ჩამოვარდა ძირს, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. მის გარდა ბევრი იმუშავა დირიჟაბლზე გერმანელმა გრაფმა ცეპელინმა. ერთად-ერთი თანამედროვე დირიჟაბლის სიგრძე უდრის 204 მეტრს (95 საჟენს), სიგანე 24 მეტრს (11 საჟ.) და აქვს აწევის უნარი 80 ტონის (ე. ი. 3.700 ფუთი), თვითონ იწონის 33 ტონას (2013 ფუთს), აქვს 5 მამოძრავებელი 250 ცხენის ძალის თვითეული (1 ცხენის ძალა უდრის ძალას, რომელიც სწევს 5 ფუთ ტვირთს 1 ნახევარი არშინის სიმაღლეზე), მისი სისწრაფე უდრის დაახლოვებით 100 კილომეტრს (დაახლოვებით 100 ვერსს საათში).

მომავალში დირიჟაბლებით გადაიტანებენ, ალბათ, მძიმე და იაფფასიან ტვირთებს, ფასიან საქონლის და მგზავრებისათვის გამოყენებული იქნება ჰაეროპლანები, რომელიც არის ჰაერზე უფრო მძიმე.

დიდი ხნის წარსულიდან გვაქვს მრავალი ცნობები ჰაერზე მძიმე აპარატებზე გაფრენის უშედეგო ცდის შესახებ. აპარატები მოქმედებდენ ფრინველების ფრთებისდაგვარად. ჰაერზე მძიმე მფრინავი აპარატის პირველი პროექტი შეადგინა 1809 წელს ინგლისელმა კაილემ, მაგრამ გაფრენის ცდა უშედეგოთ დამთავრდა, რადგანაც აპარატზე იყო ძალიან სუსტი მამოძრავებელი, თვით ჰაეროპლანი კი უზარმაზარი იყო.

ძირითადი გეგმით ჰაეროპლანის აგებულება ემსგავსება ქაღალდის ერქანს. როდესაც ერქანს ქარი არ უწყობს ხელს მას, საზოგადოთ, მიაქანებენ თავის საშუალებით, რათა ერქანი მიწაზე არ დაეცეს. ჰაეროპლანს კი თოკის მაგიერ ხის პროპელერი აქვს, რომელსაც მოტორი ამოძრავებს. პირველათ ჰაეროპლანით დამაკმაყოფილებელი ფრენა მოახერხეს 1904 წლის ენკენისთვეში ორმა ამერიკელმა ძმამ—ვილბურ და ორვილ რაიტებმა, რომლებმაც განავითარეს სისწრაფე—65 კილომეტრი საათში. საყურადღებოა, რომ თავის პირველ ცდებს რაიტები აწარმობდენ ფარულათ ყოველივე შემთხვევითი მოწმისაგან და საქვეყნო გამოსვლა გააკეთეს მხოლოთ მაშინ, როდესაც შესამჩნევ შედეგებს მიაღწიეს.

ცნობამ მათი ფრენის შესახებ მიაღწია ევროპამდე და ფრანგებმა გაგზავნეს ამერიკაში საგანგებო მზვერავი, რომელმაც მიაწოდა მათ ზოგიერთი ცნობები.

1909 წლის 25 ივლისს ლუი ბლერიომ მოახდინა თავისი სახელგანთქმული გადაფრენა ლამანშზე, საფრანგეთსა და ინგლისს შუა, რომლის დროს მან 37 წუთში გადალახა 44 კილომეტრის მანძილი. მსოფლიო ომმა დააჩქარა ფრენოსნობის განვითარება. თანამედროვე ჰაეროპლანები შესდგებიან მონოპლანებისგან, რომლებსაც აქვთ ორ ფრთიანი ცალი ზედაპირი. განსაკუთრებით ცნობილია „ფოკკერს“-ის სისტემის მონოპლანები (ჰოლანდია), რომლებსაც მშვენივრათ მორთულ კაიუტაში გადაყავს 12 მგზავრი. ამ ჰაეროპლანების მოტორის სიმძლავრე 400 ცხენის ძალას უდრის, „ფოკკერს“ ები მუშაობდენ რუსეთის პირველ საერთაშორისო საჰაერო ხაზზე—„მოსკოვ კენიგსბერგი“.

მეორე ცნობილ სისტემას წარმოადგენს „იუნკერს“-ი (გერმანია). მონოპლანის ფრთები გაკეთებულია დურალიუმინის ლითონიდან. ეს მონოპლანები მუშაობენ რუსეთის პირველ ხაზებზე, ამათ შორის არის „მოსკოვ—სპარსეთი“ თბილისის გავლით.

ბიპლანებს აქვთ ორი ზედა-პირი; ბიპლანების საუცხოვო სისტემებს წარმოადგენენ ინგლისური ფირმები: „ვესტლიანდ“, „ხენოლი პეიჯ“ და „ვიკკერსი“. უკანასკნელ სისტემის ჰაეროპლანები ზიდავენ 100 მგზავრს. მათში გამართულია რამოდენიმე კაიუტა, ბუფეტ-სალონი, კორიდორები და სხვა.

ტრიპლანებს სამი ზედაპირი აქვს. ისინი მზადდებიან 4 მოტორით 400 ცხენის ძალით თვითეული ინგლისის ფირმის „ბრისტოლ“-ის მიერ. სამგზავრო კაიუტა მორთულია ელექტრონის განათებით და გათბობით. სისწრაფე საათში 200 კილომეტრს უდრის.

თანამედროვე ჰაეროპლანების უდიდესი სისწრაფეა—360 კილომეტრი საათში; ფრენის უდიდესი ხანგრძლივობა 30 საათზე მეტია; უდიდესი სიმაღლეა—12.459 მეტრი.

წარსული წლის შემოდგომაზე ამერიკელმა მფრინავმა გარრიგ'ტონმა გადაიფრინა მთელი დედა-მიწის ირგვლივ. გამოფრინდა ნიუ-იორკიდან—შესვენა პირველათ პორტუგალიის დედა-ქალაქში—ლისაბონში; მეორე შესვენება—ადენი, არაბეთის სამხრეთ-დასავლეთში ბაბ-ელ-მანდების სრუტის ახლო; მესამე—კალკუტა—ინგლისურ ინდოეთის დედა-ქალაქში; მეოთხე—დიდ ოკეანეს შუა მდებარე გაიტის კუნძულებზე; მეხუთე—დასავლეთ ამერიკაში—ქალაქ ფილადელფიაში; მეექვსე—ჩიკაგოში და მეშვიდე—ნიუ იორკში. ეს ფრენა დედა-მიწის ირგვლივ გაგრძელდა 9 დღეს და 20 საათს.

ფრენა უმოტოროთ.

უკანასკნელ წლებში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატება უმოტორო ჰაეროპლანებით ე. ი. ეგრედ წოდებულ პლანერებით ფრენაში. გერმანელმა ინჟენერმა ხენტცერმა მოახდინა გადაფრენა პლანერებით: ერთჯერ ეს მოგზაურობა გაგრძელდა 2 საათსა და 10 წუთს, მეორე ჯერ 3 საათსა და 20 წუთს. შესაძლებელია, რომ მომავალში ჩვენ შევძლოთ ფრენა „საჰაერო ველოსიპედების“ საშუალებით, რომლებიც ეხლანდელ ჩვეულებრივ ველოსიპედების ადგილს დაიკავებენ.

საჰაერო მიმოსვლა საზღვარ-გარეთ და ს. ს. რ. კ—ში სულ უფრო და უფრო ვითარდება—მას ყველა უპირატესობა აქვს. ასე, მაგალითად, გადაფრენა ატლანტიურ ოკეანეზე, რომელიც მდებარეობს ერთის მხრით ამერიკასა და, მეორე მხრით, აფრიკასა და ევროპას შუა, ხდება 15 საათის განმავლობაში (6.000 კილომეტრი, მაშინ, როდესაც საუკეთესო ორთქლმავალი გემი ამავე გზის გავლაზე ხარჯავს 5 ნახ. დღეღამეს ე. ი. 10 ჯერ მეტს!

რუსეთში, პეტროგრადში გზათა მიმოსვლის ინჟენერთა ინსტიტუტში არის განსაკუთრებული განყოფილება საჰაერო მიმოსვლის ფაკულტეტი, რომელიც წვრთნის საჰაერო მიმოსვლის სპეციალისტ-ინჟენრებს. ფაკულტეტის მუშაობას ხელმძღვანელობს ცნობილი პროფესორი ნ. ა. რინინი, რომელიც 1910 წელს პეტროგრადში საჰაერო ფრენის დღესასწაულზე საჰაერო ბუშტით ავიდა ისეთ სიმაღლეზე, რომელიც აქამდე არაა მიღწეული. რინინი მრავალ წიგნების ავტორია საჰაერო საქმის სფეროში.

სულ 18 წელმა განვლო ფრენის პირველ ცდების შემდეგ და რაოდენ დიდია ათასეულ კაცთა სიცოცხლის ფასათ მოპოვებული დღევანდელი მიღწევა!

„განისვენეთ მშვიდათ—ჩვენ გავიმარჯვეთ“ ვეტყვით ჩვენ ყველა ქვეყნის ტრაღიკულათ დაღუპულ ავიატორებს!

ვინ დაიჯერებდა ასეთ მიღწევას 20 წლის წინეთ და რამდენათ დიადი იქნება ჩვენი წარმატება კიდევ 20 წლის შემდეგ?

გ. ზ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

საფრანგეთი და რუსეთი.

ბერლინი, 2 აგვისტო. ბორდოში არსებულ გაზ. „პტი ჟირონდ“-ის აზრით, ახლო მომავალში მოს ლოდნელია საფრანგეთ-რუსეთის მეგობრულ ურთიერთობის აღდგენა.

იტალია და რუსეთი

რომი. 2 აგვისტო. საგარეო ვაჭრობის სამმართველოს საქმის გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის საქონლის ჩამორთმევა შეუწყნარებელი არისო.

იტალიის პოლიტიკური და სავაჭრო წრეები კმაყოფილნი დარჩნენ ასეთი დადგენილებით.

იაპონიას რუსეთთან დაახლოვება სურს.

ვენა. გაზეთი „ნიცი“ (კონსტიტუციურ-მონარქიულ მიმართულებისა), რომელიც ჩვეულებრივ მტრულად ეპყრობა რუსეთ-იაპონიის შეთანხმებას, მეთაურში სწერს: **„იოფფეს მოლაპარაკება კავაკამახთან ნაყოფიერი იყო, რადგან გამოირკვა, რომ რუსეთს და იაპონიას გულწრფელათ სურთ დაახლოვება“.** ამიტომ იაპონია ნიშანს იძლევა, **რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი წინადადებას შეიტანს გახსნილი იქმეს ფორმალური კონფერენცია, ეს უკანასკნელი სიამოვნებით იქნება მიღებული.**

საკონტრიბუციო საკითხი

საკონტრიბუციო საკითხი ინგლისის თემთა პალატაში

ილაპარაკეს, მაგრამ ახალი არაფერი სთქვეს.

ლონდონი. 2 აგვისტო ბალდვინი—თემთა პალატაში და კერზონი—ლორდთა პალატაში გამოვიდნენ განცხადებებით სარეპარაციო საკითხის შესახებ. მათ ვერაფერი სთქვეს არსებითად ინგლისის მთავრობის უახლოეს გეგმის შესახებ.

მაკდონალდის სიტყვა.

მათ შემდეგ გამოსულმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ თუმცა ბალდვინის ცნობების სიმცირემ მას იმედი გაუცრუა, მაგრამ ის კმაყოფილია მთავრობის გადაწყვეტილებით სარეპარაციო პოლიტიკის გადასინჯვის შესახებ. მაკდონალდი ამტკიცებდა, რომ არსებული მდგომარეობა ინგლისისაგან მტკიცე მოქმედებებს მოითხოვს, ვინაიდან ინგლისს ომმა მეტი ზიანი მოუტანა ვიდრე საფრანგეთს, რომელმაც უკვე აღადგინა თავისი მრეწველობა, არ ატარებს ინგლისის მსგავსათ მძიმე საგადასახადო ტვირთს და რომელსაც, საჭიროებისთანავე ადვილათ შეუძლია გააკეთოს თავისი ბიუჯეტის ბალანსი. მაკდონალდმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფეხზე დასაყენებლათ საკმაოა მისთვის სურსათისა და ნახშირის შესაძენათ მცირე კრედიტის გაღება.

ბალდვინის პასუხი.

თავის საპასუხო სიტყვაში, ბალდვინი დაპირდა პალატას, რომ ის ხელმეორეთ გამოვა განცხადებით ინგლისის მთავრობის პოლიტიკის შესახებ, რაც მოხდება მოკავშირეებთან მოლაპარაკებების გამოქვეყნების შემდეგ. ბალდვინმა განაცხადა, რომ სარეპარაციო საკითხში პასსიურ პოლიტიკაზე ხელის აღების დრო უკვე დადგა, ვინაიდან შედეგათ მიღებული მდგომარეობა მომავალ ხიფათის მუქარას შეიცავს. „ყოველ შემთხვევაში,—განაცხადა ბალდვინმა,—ინგლისის მთავრობა შესძლებს დაიცვას რურის ამბებით შელახული ინგლისის ინტერესები არა ნაკლებ იმისა, როგორც ის იცავდა სხვა ერთა ინტერესებს“.

ინგლისის მთავრობას არ სურს ხელი შეუწყოს გერმანიის მხრით წინააღმდეგობის გაძლიერებას, მაგრამ ის არც გერმანიის სრულ დაშლას დაუშვებს, ვინაიდან გერმანიის კატასტროფა ნიშნავს არა რეპარაციების გადიდებას, არამედ მათ შემცირებას. ჩვენ გავხდებით მოწმენი საზარელ ამბებისა, თუ გერმანია იძულებული გახდება სრულ კაპიტულიაციაზე წავიდეს საფრანგეთის წინაშე ინგლისის მთავრობა ყოველგვარათ ცდილობს უზრუნველყოს ერთიანობა და თანხმობა მოკავშირეებთან, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ ყველანი შეიგნებენ, რომ **სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოთ გერმანიის ეკონომიურ აღდგენის საშუალებით.** უსაფუძვლოა შიში გერმანიის მძლავრ მრეწველობის წინაშე. უკანასკნელი არ გაჰქრება ინგლისის კეთილდღეობის მუქარათ, რადგან იმ დროსთვის გაიხსნება რუსეთის ვეებერთელა ბაზარი, რომელიც შთანთქავს გერმანულ მრეწველობის საგნებს.

„მე არ მჯერა,—სთქვა ბალდვინმა, რომ რურის ოკუპაციის საშუალებით საფრანგეთი სხვა მიზნებისაკენ ისწრაფვის, გარდა რეპარაციებისა. მაგრამ თუ ეს ასეა, მე ნებას მივცემ თავს მოვაგონო საფრანგეთს, რომ „ინგლისელები კარგათ იცნობენ „სამართლიანობის გრძნობას“.

ერთგულება ბატონის წინაშე.

ლონდონი. 2 აგვისტო. ამერიკელ პრესის წარმომადგენელთა განცხადების თანახმათ მაკდონალდი (ინგლისის მუშათა პარტიის ბელადი) „იმდენათ ლოიალურათ უჭერდა მხარს ბალდვინს, რომ მისი სიტყვა მთავრობის წევრის გამოსვლის შთაბეჭდილებას ახდენდა“. კულუარებში გაისმოდა ხმა მაღალი საყვედურების საფრანგეთისა და ბელგიის წინააღმდეგ და ჩვეილი ბალდვინის გაურკვეველ პოლიტიკის გამო.

დღის სინათლის ეშინიათ.

პარიზი. 2 აგვისტო. პარიზის გაზეთი „ტანი“ ილაშქრებს კერზონის წინააღმდეგ მისი სურვილისათვის გამოაქვეყნოს მიწერ-მოწერა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის და აღნიშნავს, რომ კერზონის მთავრობას მიჰყავს ანტანტა დაშლისაკენ. ბელგიამ ლონდონში პროტესტი განაცხადა ინგლისის განზრახვის წინააღმდეგ გამოაქვეყნოს „თეთრი წიგნი“ მიწერ-მოწერით საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

ბელგია მოითხოვს დამოუკიდებელ პოზიციას.

პარიზი. 2 აგვისტო. ბელგიის პრესა მოითხოვს მთავრობისაგან დამოუკიდებლათ გამოსვლას საკონტრიბუციო და რურის საკითხებში.

საიდუმლოების პოლიტიკა.

ლონდონი. 2 აგვისტო. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მიწერ-მოწერა საკონტრიბუციო საკითხის შესახებ საფრანგეთის მოთხოვნილების გამო დაცული იქნება საიდუმლოთ და გამოქვეყნებული იქნება მხოლოდ საფრანგეთისა და ბელგიის თანხმობით.

საფრანგეთი გამოაქვეყნებს თავის დოკუმენტებს.

ბერლინი. 2 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ის გამოაქვეყნებს მის ხელში მყოფ დოკუმენტებს, რომლებიც ამართლებენ საფრანგეთის პოზიციას რურის კონფლიქტში.

ოკუპაციის გარშემო

ფრანგები აძლიერებენ სამხედრო კონტროლს.

ბერლინი 2 აგვისტო. ფრანგები აძლიერებენ ჯარებს რურის ოლქში. ჰელზენკირხენში ჩავიდა ორი ახალი ქვეითა პოლკი. ოფიცრების მისათავსებლად რეკვიზიცია უყვეს სკოლებს

მოლაპარაკება მრეწველებთან

პარიზი. 4 აგვისტო. „მატენ“-ი გადმოგვცემს, რომ საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებს დიუსელდორფში დავალებული აქვთ რეინლანდის მრეწველებს მოუმართონ, საოკუპაციო ოლქებში ისეთი რეჟიმის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ოლქებში საწარმოვო ძალების აღდგენას.

გერმანიის ამბები

მდგომარეობა კატასტროფიულია.

ბერლინი. 2 აგვისტო. რეიხ ბანკმა განაღდების პროცენტი 18 დან 30 პროცენტამდე გაადიდა. გამოიცემა ოქროს სესხი 500 მილ. ოქროს მარკისა.

კუნო ბეწვზე ჰკიდია.

ბერლინი. 2 აგვისტო. მემარცხენე პრესა განაგრძობს კამპანიას კუნოს წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები ფინანსიური კრიზისის ასაცილებლად საკმარისი არ არისო. ფაშისტურ გაზეთებსაც იერიში მოაქვთ მთავრობაზე და კუნოს ამტყუნებენ, რომ საკმაო ენერგია არ მოსდევსო.

პოლიციასთან შეტაკების მსხვერპლი.

ბერლინი 2 აგვისტო. პოლიციასა და მუშებს შორის შეტაკების დროს ობერჰაუზენში მოკლულია ორი და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

სინაის კონფერენცია

უნგრეთის პრესა უკმაყოფილოა.

ვენა. 2 აგვისტო. სინაის კონფერენციის დადგენილებას უნგრეთისათვის სესხის მიცემის შესახებ, კომენტარიებს უკეთებს უნგრეთის პრესა და მეტად უკმაყოფილოა. გაზეთების სიტყვით, მცირე ანტანტა ცდილობდა უნგრეთის სესხის საკითხი გამოეყენებია უნგრეთის შინაურ საქმეებში ჩასარევად. მთავრობის წრეებს კი შესაძლებლად მიაჩნიათ მოლაპარაკების წარმოება მცირე ანტანტასთან. უნგრეთის ეროვნულ ყრილობის ვიცე-პრეზიდენტის ხუსარის განცხადებით, სინაის კონფერენციის დადგენილება დიდი გამარჯვებაა უნგრეთისათვის და ხელსაყრელ მომენტს ქმნის უნგრეთისა და მცირე ანტანტის შორის უშუალო მოლაპარაკების დაწესებისათვის.

პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულება.

ვენა. 2 აგვისტო. პოლონეთის წარმომადგენელმა პილიცმა გაზეთებში გამოაცხადა, რომ სინაის კონფერენციაზე ის მოვიდა პოლონეთ რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულობის დასადებათ და აგრეთვე პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ამ ორ სახელმწიფოს შორის. პილიცმა ითათბირა სამხრეთ სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ ნინჩიჩთან, ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრ მენეშთან და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დუკასთან.

გაძლიერების მაგიერ უფრო დაასუსტებს.

ლივერპული. 2 აგვის. გაზ „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, სინაის კონფერენციაზე დიდი უთანხმოება მოხდა რუმინეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის ბულგარეთის მიმართ ურთიერთობის საკითხში. რუმინეთის წინააღმდეგ, სამხრეთ სლავიის მთავრობა მომხრეა ბულგარეთთან შეთანხმებისა. ლონდონში ჰფიქრობენ, რომ სინაის კონფერენცია გაძლიერების ნაცვლად, უფრო დაასუსტებს მცირე ანტანტას.

ხორტის მიეცა ფულები მუშების მოსახრჩობად

ვენა. 2 აგვისტო. სინაის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება უნგრეთის სესხის საკითხის შესახებ. განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი მცირე ანტანტის საერთო პოლიტიკის შესახებ. გერმანიის კონტრიბუციების საკითხში სჭარბობდა საფრანგეთის შეხედულება. შემდეგი კონფერენცია, ალბათ, იქნება ბელგრადში ერთა ლიგის სესიის დამთავრების შემდეგ.

დუკა უკმაყოფილოა

ვენა. 2 აგვის. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშთან საუბრის დროს უკმაყოფილება გამოსთქვა იმ დამოკიდებულების გამო, რომელსაც აწარმოებს სამხრეთ სლავია რუმინეთის ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ბენეშმა განაცხადა, რომ მცირე ანტანტა წარმოდგენილი იქნება ერთა ლიგაში და აგრეთვე სთქვა ისიც, რომ პოლონეთის საკითხი გადაწყვეტილი უნდა იყოს ვისიმე შუამავლობის გარეშე.

დუკამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მცირე ანტანტამ თავის პოლიტიკა უნდა შეუფარდოს დიდი სახელმწიფოების პოლიტიკას.

კონფერენცია ჩაიფუშა

ვენა. 2 აგვის. ავსტრიის პრესა აღნიშნავს, რომ სინაის კონფერენციის მონაწილენი ვერ შეთანხმდენ ვერც ერთ საკითხზე, გარდა უნგრეთისა. რუმინეთის ცდა, მოეწვია პოლონეთი მცირე ანტანტაში, და აგრეთვე წინადადება „ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირის“ დაარსების შესახებ უშედეგოდ დამთავრდა. სინაის კონფერენციამ გამოააშკარავა მცირე ანტანტის სახელმწიფოების მთლიანობის შეუძლებლობა

ახლო აღმოსავლეთში

მესოპოტამიაში

უარს ამბობენ.

თეირანი. 2 აგვისტო. ბაღდადიდან ჩამოვიდა ინგლისის ელჩი ლორენი, რომელმაც წერილი ჩამოუტანა შახს მესოპოტამიის მეფის ფეისალისაგან უარით გადასახლებულ სამღვდელოების დაბრუნებაზე.

იძულებითი რატიფიკაცია

თეირანი. 2 აგვისტო. მესოპოტამიის საპარლამენტო არჩევნებისადმი ერთსულოვან ბოიკოტის გამოცხადების გამო, ინგლისელები ძალას ატანენ ტომების წინამძღოლებს, რათა მათ დაადასტურონ ინგლის-ირანის ხელშეკრულება. **წინამძღოლებმა უარი განაცხადეს. ინგლისელებმა შეიარაღებულ ძალას მიმართეს, რის გამო მოკლულია და დაჭრილია რამდენიმე კაცი.**

ინდოეთში

რევოლიუციონური პასუხი.

თეირანი. 2 აგვისტო. მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი ხარჯები მუნიციპალურ რესურსებიდან მისასალმებელ მიმართვა-დეპეშებზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისალმებები ეგზავნება მეფის მოადგილეს ან წარჩინებულ მოხელეებს. ამის გამო ქალაქ ლუკნოვის მუნიციპალიტეტმა დაადგინა არ გაეგზავნოს არავითარი მისალმება ხელისუფლების წარმომადგენლებს, გაუქმებულ იქნას „ინგლისის დღის“ ზეიმობა, ხოლო ქალაქის დაწესებულებებში იდღესასწაულონ განდის (ინდოელ რევოლიუციონერთა ბელადის) დაბადების დღე.

სხვადასხვა ამბები

იტალია

მუშებს მოთმინება ეკარგებათ

რომი. 2. აგვის. ნეაპოლში სერიოზული შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და მუშებს შორის. ფაშისტებს მიეშველა ფაშისტების მილიცია და ჯარისკაცები. პოლიციამ ბევრი დაატუსაღა. 2 რკინის-გზის სადგურზე ორჯერ გაჩნდა ცეცხლი. ეჭვი აქვთ, რომ ცეცხლი რევოლიუციონერებმა გააჩინეს. ფაშისტებმა აიკლეს და ცეცხლს მისცეს რკინის-გზელთა პროფკავშირის ბინა. მუშების კრივი მოხდა ფაშისტებსა და ყოფილ ნაციონალისტების შორის. ძლიერ სცემეს ფაშისტების ბელადს, პადოვანის, რომელიც გამოსული იყო ფაშისტების პარტიიდან.

უნგრეთი

სამხედრო წესები

ბერლინი. 4 აგვის. მთელს უნგრეთში სამხედრო წესები გამოცხადდა.

რკინის გზელთა გაფიცვა

ბერლინი. 4 აგვის. უნგრეთში გამოცხადდა რკინის გზელთა საყოველთაო გაფიცვა.

გარდინგის გარდაცვალება.

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო. სან-ფრანცისკოდან მიღებულ ცნობების თანახმად, გუშინ საღამოთი გარდაიცვალა შეერთებულ შტატების პრეზიდენტი გარდინგი.

ამერიკის ელჩის დაბრუნება კუბადან.

ნიუ იორკი, 2 აგვისტო. ამერიკის ელჩის დაბრუნებას კუბადან ვაშინგტონში სთვლიან ამერიკის მთავრობის უარყოფით დამოკიდებულებათ კუბაში მიღებულ კანონპროექტის მიმართ სალატარიო სისტემის აღდგენის შესახებ, რომელიც მოწონებულია კონგრესის მიერ; მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია იმ პოლიტიკის მავნებლობა, რომელიც მიმართულია თვითმართველობის უფლების წინააღმდეგ და რომელიც აგიტაციას ეწევა უცხოელების კუბას საქმეებში ჩარევისათვის.

იტალიის კომუნისტების გასამართლება.

რომი, 1 აგვისტო. იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ბოდრიგა და მისი ამხანაგები, რომელთაც ბრალათ ედებათ კლასობრივი სიძულვილის ქადაგება, გასამართლებული იქნებიან სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, მეორე სამქისათვის, სადაც მათ ბრალათ ედებათ ისეთი საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მიზნათ ისახავდა არსებულ წესწყობილების დამხობას. ბოდრიგა და 26 სხვა პირი გასამართლებულნი იქნებიან ტრიბუნალში.

შეთანხმებულთა წინააღმდეგ.

რომი, 2 აგვისტო. სოციალისტური პარტიის პრეზიდიუმმა პროლეტარიატს მოწოდებით მიჰმართა, რომელშიაც ჰგმობს შრომის კონფედერაციის მოლაპარაკებას მთავრობასთან.

საბერძნეთი

მასიური დემონსტრაციები სიძვირის წინააღმდეგ

ათინა. 2 აგვის. ათინის მუშათა ბირჟამ მოაწყო მასიური დემონსტრაციები სიძვირის წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა გაიარეს ბირჟის შენობის წინ და ვალიუტის სპეკულიანტებს მუქარას უთვლიდნენ. საბერძნეთის პრემიერმა პლასტარასმა დემონსტრანტების დელეგაციას აღუთქვა, რომ იბრძოლებს სპეკულიანტების წინააღმდეგ. განკარგულება გამოვიდა, რომლითაც აკრძალულია სავალიუტო გარიგებანი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

იტალია

კომუნისტებს ირჩევენ.

რომი. 2 აგვისტო, მილანის შრომის პალატაში არჩევნების დროს, სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 20,000 ხმა, კომუნისტ-მაქსიმალისტებმა კი 15,000.

საპროტესტო კონფერენცია.

ვენა. 2 აგვისტო. რუმინეთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო აგვისტოს გასულს კაუზენბერგში იწვევს პროფკავშირთა კონგრესს, ამსტერდამთან შეერთების საკითხის განსახილველად. კაუზენბერგის კონგრესის დროისვე რუმინეთის კომპარტია გორმენშტადში იწვევს საპროტესტო კონფერენციას ამსტერდამთან შეერთების წინააღმდეგ

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენის გახსნა.

მოსკოვი. 2 აგვისტო. სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენა გაიხსნება სწორედ 18 აგვისტოს შუადღის 12 საათზე. რადგან უკანასკნელ დღეების გამუდმებულმა წვიმებმა შეაფერხეს საალმშენებლო და მიწის სამუშაოები, ამისათვის გადაწყვეტილია, -ეს მუშაობა ამის შემდეგ აწარმოვონ ღამ-ღამობითაც. გამოფენაზე უკვე მთავრდება ელექტრო-სადგურის აგება და იდგმება პროექტორი. საალმშენებლო მუშაობა 12 აგვისტოს მოთავდება.

ახალი ექსპონატები.

მოსკოვი. 2 აგვისტო. სრულიად საკავშირო გამოფენაზე მიღებულია ახალი ექსპონატების პარტია—მოლდავის ღორები.

„ჩინეთის ამბები და რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება“

„იზვესტია“-ს წერილი.

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი, 4 აგვისტო. „იზვესტია“ მეთაურში „ჩინეთის ამბები და რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება“ სწერს: „მთავრობის კრიზისი ჩინეთში გრძელდება. შან-მუ-სენის ძველი კაბინეტი გადადგა. პრეზიდენტი ლი-იუან-სანი გაიქცა. ცდები ახალი კაბინეტის შედგენისათვის ჯერ-ჯერობით უშედეგოთ მთავრდება.

ჩინეთის ეს ამბები მოხდა იმ დროს, როდესაც მზადდებოდა რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება, რომლისათვისაც გაგზავნილია ამხ. კარაახნი. ჩინეთის რესპუბლიკის რომელ მთავრობასთან უნდა აწარმოოს მოლაპარაკება ჩვენმა რწმუნებულმა?

ჩინეთის მთავრობის კრიზისი მეტათ რთულია. საკითხი სდგას პრეზიდენტის შესახებ. პრეზიდენტის სავარძლისათვის იბრძვის ეხლა ორი სამხედრო ჯგუფი: ფინ—ტიანის ჯგუფი ჩჟან-ცზოლინის მეთაურობით და ჩჟილიის—კაო კუნის მეთაურობით. ტიან ცზინში თავი მოიყარეს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა, რომელთაც უნდოდათ გამოენახათ გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან. პეკინში ვიცე-მინისტრებმა შექმნეს რაღაც თავის „კაბინეტის“ დაგვარად. გაქცეულმა პრეზიდენტმა.... მოაწყო თავისთვის ახალი კაბინეტი

კაბინეტების ეს სიმრავლე და გენერლების ბრძოლა საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ კრიზისი ხანგრძლივი იქნება. მართალია არის რწმუნებული რუსეთთან მოლაპარაკების საწარმოებლათ....

ჩინეთის საგარეო მდგომარეობაც არეულია. დიდი სახელმწიფოები, მათ რიცხვში ამერიკა და იაპონია, ფიქრობენ საერთო ზომების მიღებას „კრიზისის მოსაწესრიგებლად“. ყველაფერი ეს საშუალებას არ იძლევა ჩქარა იქნეს დაწყებული რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება, როგორც ეს რუსეთს სურს. საბჭოთა კავშირმა გააკეთა ყველაფერი რუსეთისა და ჩინეთის ხალხების დასაახლოვებლათ. თუ მოლაპარაკება გაჭიანურდება, ეს „ჩვენი ბრალი არ იქნება“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

ბათომი. 3 აგვისტო. აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი თბილისიდან იწვევს ექიმს-ბაქტერიოლოგს ახლათ დაარსებულ ბათომის ლაბორატორიისთვის. ლაბორატორია ამოუჩენს მოქალაქეებს უფასო დახმარებას.

ხალხის ფულების გაფლანგვისათვის.

ბათომი. 3 აგვისტო. გაფლანგვისა და სამსახურის დროს ჩადენილ სხვა დანაშაულობათათვის რევტრიბუნალმა 2 წლისა და 27 დღის ციხე გადაუწყვიტა კომუნალური მეურნეობის პასუხისმგებელ მუშაკს ნ. ბექზადიანს.

საჰაერო ფლოტის კვირეული.

ბათომი. 3 აგვისტო. საგანგებო კომისიამ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ წარმომადგენელნი აჭარის ს. ს. რ. კომპარტიისა, საბჭოთა ხელისუფლებისა, პროფესიონალურ და წითელი არმიისა, შეიმუშავა შემდეგი გეგმა საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის: 3 აგვისტოს საზეიმო სხდომა კვირეულის გახსნისა, 4 - სეირნობა ბულვარდზე 6—8—ყულაბებით ფულის მოკრება და ყოველგვარი სანახაობანი 8—9 კვირეული ჩატარება პროფკავშირებში, ჯარის ნაწილებში და საბჭოთა დაწესებულებებში. 10-ში საერთო კრება ბათომში არსებულ საჰაეროფლოტის მეგობართა საზოგადოებისა, რითაც დასრულდება კვირეული.

მისტერ კოუტსი ბათომში

ბათომი. 2 აგვისტო. წარმომადგენელი საზოგადოებისა „ხელები შორს რუსეთისაგან“ მისტერ კოუტსი, რომელმაც შემოიარა საქართველო მისი ყოფა-მდგომარეობის გასაცნობად და საზღვარ-გარეთ გავრცელებულ ჭორების გასაბათილებელ მასალების შესაკრებად, ბათომში ჩამოვიდა, საიდანაც, მცირე ხნის შემდეგ, ქუთაისს ესტუმრება.

აზერბეიჯანი

მალიარიასთან ბრძოლა.

ბაქო. 30 ივლისი. აზერბეიჯანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მალიარიის წინააღმდეგ უფრო რაციონალურად ბრძოლის მოსაწყობათ, დაისახა—მომავალ სამ თვეში გაატაროს ჰიდროსტატიული სამუშავოები ამოაშროს ჭაობები და შექმნას მალიარიის საწინააღმდეგო სადგურები იმ მაზრებში, სადაც უფრო ძალიან არის გავრცელებული ციება.

პარტიული ცხოვრება

წითელ ჯარში

3 ივლისს წითელ-არმიელთა კლუბში შესდგა პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის მორიგი სხდომა.

წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე—ამხ. შუშანიასი; 2) მოხსენება საჰაერო ფლოტზე—ამხ. კობიძისა; 3) კანდიდატების დამტკიცება და 4) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შუშანიამ, რომელიც პრაქტიკულათ მიუდგა ამ საკითხის გაშუქებას და ყველასათვის გასაგები გახადა მთავრობის დეკრეტი ამ გადასახადის შესახებ. კრებამ მოხსენება მიიღო ცნობათ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კობიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა საჰაერო ფლოტის შექმნის საჭიროებას და მის მნიშვნელობას როგორც სამხედრო მოქმედებათა დროს, ისე მშვიდობიანობის დროს ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის. მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული ამხ. ჩანტლაძის წინადადება: შევქმნათ ჩვენი—ქართულ დივიზიის ჰაეროპლანი „წითელ-არმიელი“, რისთვისაც ჯერ-ჯერობით გადაიდო ორი დღის ჯამაგირი და ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის არჩეულ იქნა კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი: ქართულ დივიზიის სამხედრო კომისრის და პოლიტ-განყოფილების უფროსის ამხ. ღლენტისაგან, პოლიტ-განყოფილების უფროსის თანაშემწის და საორგანიზაციო ნაწილის უფროსის ამხ. პ. შუშანიასაგან, დივიზიის პარტ-კომისიის მდივნის ამხ. ს. ლომიძისაგან, დივიზიის მომარაგების განყოფილების უფროსის ამხ. შაკუნისაგან და გაზეთ „წითელ-არმიელის“ რედაქტორ ამხ. ჩანტლაძისაგან.

კომისიას დაევალა ამ მოკლე ხანში მოიწვიოს საგარნიზონო კრება, სადაც უნდა გააცნოს ყველანი ჰაეროპლან „წითელ-არმიელის“ შექმნის მნიშვნელობას და აგრეთვე შეუდგენ აქტიურ მუშაობას ამ მხრივ.

ნ.

როგორ აბათილებენ ჭორებს საბჭოთა საქართველოს შესახებ

საუბარი მ—რ კოუტსთან

(ინგლისის კომიტეტის „ხელები შორს რუსეთისაგან“ მდივანთან).

რამდენიმე დღის წინად მ-რ კოუტსმა გაგვიზიარა ჩვენ შთაბეჭდილებანი რუსეთში ყოფნის შესახებ.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მან, რაც მე იქ ვნახე, გადააჭარბა მთელ ჩემს მოლოდინს. რუსეთი ერთად-ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება, სადაც სცხოვრობენ მომავლის ბრწყინვალე იმედით.

ამავე დროს დასავლეთი იხრჩობა კაპიტალისტურ ვეშაპის ბრჭყალებში.

არის რა ერთგული ძველი მუშის წესებისა

— შეისწავლოს მთელი მექანიზმი, ყველა ჭახრაკები და ბორბლები, მანქანები, რის ზედმიწევნით შესწავლა სურს.

მ-რ კოუტსმა პირველ ყოვლისა დაწვრილებით დაათვალიერა საბჭოთა რუსეთი, რომლის ყოფა-ცხოვრების შესახებ ათასგვარი ჭორები დადის საზღვარ-გარეთ:

ბარბაროსების და გამეფებულ ხამის ქვეყანაა. ატტილას ახალი ურდოების, წითელი არმიის ქვეყანაა.

მან გააბათილა ყველა მტკნარი ჭორები, და სთქვა, რომ ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მან აქ ნახა, კომიტეტი „ხელები შორს რუსეთისაგან“ გააკეთებს თავის მუშაობას საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად.

— ერთი ნაბიჯიც არ გადადგათ წინ! ხელები შორს!

რათა შეესწავლა საბჭოთა რუსეთის ცხოვრება, კოუტსმა ყველაფერი ინახულა:

დაწყებული წითელი ფაბრიკიდან და გათავებული დახავსებული პატრიარქის სასახლით.

საქართველოში კოუტსი ათვალიერებდა ყველაფერს იმავე პროგრამით: წითელ ფაბრიკიდან პატრიარქის სასახლემდე

უმთავრესად იმისათვის, რომ გამოერკვია მართლა არის თუ არა გამეფებული საქართველოში ვაკხანალია და თვითნებობა, საქართველოს მენშევიკების ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან სხვადასხვა სიტყვებით, როგორ შეიძლება დავახასიათოთ საქართველოში არსებული „უწესობანი“, „დახვრეტა“ „მორწმუნეთა დევნა“ და სხვ.

„ხელები შორს რუსეთისაგან“ კომიტეტის მდივანი იყო ტფილისსა, ნატანებსა, ოზურგეთსა, ბათომსა, ქუთაისსა, ბორჯომსა და შემდეგ ისევ ტფილისში.

ბორჯომში კიდევ გამოვიდა მრავალრიცხოვან მუშათა კრებაზე და იყო აღტაცებული მოგზაურობის შედეგებით, რომელიც აბათილებს მის მიერ ინგლისში მოსმენილ მენშევიკების ყალბ ინფორმაციას.

— კაპიტალისტურ პირობებშიაც იშვიათია ასეთი მოწესრიგებული აპარატი!

— რამაც მე გამაოცა საქართველოში მოგზაურობის დროს—ეს არის ენერგია, ორგანიზაციული ნიჭი და გარკვეულობა ადგილობრივ ამხანაგების მუშაობაში.

ძალიან ცოტა ქვეყნებს შეუძლიათ მოგვცეს ასეთი ხალხი.

საქართველოს პატრიარქის ნახვა.

დასავლეთ ევროპაში ჩვენ გვაცნობებდენ,—სთქვა მისტერ კოუტსმა,—რომ რელიგიას აქ სდევნიან, რომ მართლმადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიები, მეჩეთები და სინაგოგები დახურულია.

მე ვინახულე ეკლესიების მთელი რიგი და გელათის მონასტერი და დავრწმუნდი წინააღმდეგში.

ინგლისში, მუშათა პარტიის წრეებში, ლაპარაკობდენ, რომ საქართველოს პატრიარქი თავისი სასახლიდან ჩეკას სარდაფშია გადაყვანილი.

მე კი ვნახე, რომ ის ცხოვრობს მშვენიერ სახლში სიონის ტაძართან.

„ეს უმშვენიერესი სარდაფია, რომელიც მე სადმე მინახავს“—გულიანათ ხარხარებს მ—რ კოუტსი

სარდაფი ცნებაა—რომელიც არა ერთხელ გვხდება ინგლისის ისტორიაში, იქ—ძველებური სარდაფები შენახულია ჩვენ დრომდე და განსაკუთრებულ დღეებში გაღებულია საზოგადოებისათვის. და როდესაც ჟორდანია და კომპანია სწერდენ, საქართველოს პატრიარქი სარდაფში ზისო, მათ უთუოთ სურდათ ეთქვათ რომ ის ზის ინგლისურისდაგვარ სარდაფში.

პატრიარქის „სარდაფი“ თბილისში შესდგება ხელოვნურათ მორთულ დიდებულ მისაღებ ოთახიდან, რომელშიაც პატრიარქმა მე მიმიღო. „სარდაფის“ შემდეგი ოთახები წარმოადგენენ მდიდარ წიგნთსაცავს, რომელშიაც, როგორც მან მითხრა, ის სწერს საქართველოს ისტორიას, გარდა ამისა პატრიარქს კიდევ ორი ოთახი აქვს.

მისტერ კოუტსმა თავისებურ მუშურ იუმორით აღნიშნა, რომ ინგლისში არსებობს სასაპყრობილო რეფორმათა საზოგადოება, რომელიც მუშაობს კონტინენტზე არსებულ სხვა ასეთ საზოგადოებებთან კავშირში. მე მინდოდა მეთხოვნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისთვის, რომ ეს შენობა—სარდაფი, მენშევიკების თქმით,—გადახატული ყოფილიყო ფოტოგრაფიით და სურათი ამ საზოგადოებას გაგზავნოდა ნატვრითურთ, რომ ასეთი აპარტამენტები დასთმობოდეს ინგლისის მთავრობის ყოველ პოლიტიკურ მტერს.

— მე, ცოტა მეშინია, რომ როდესაც ეს სურათი ინგლისის პრესაში დაისტამბება, საქართველო თავისისაკენ მიიზიდავს ინგლისის მუშებს, რადგან იქ საბინაო კრიზისია.

— „მეტათ ხელსაყრელი საქმეა აქ პოლიტიკურ ბოროტმოქმედების ჩადენა ასეთ „სარდაფებში“ მოსახვედრათ“—იცინის მ—რ კოუტსი

„ჩეკა“-ს საშინელებანი.

ჩვენ გვეუბნებოდენ ინგლისში, რომ საპყრობილეებში ტუსაღებს აწამებენ, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ის პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც კი უარყოფენ ამ სიცრუეს, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ ტუსაღებს როგორც დატუსაღებამდე, ისე მის შემდეგაც.

ზოგიერთს მათგანს, როგორც ამბობენ, ფერ-ხორციც გაუუმჯობესებიათ.

მე მოვიარე გური, რომ გამეგო მართალია თუ არა, რომ იქ დახვრეტილია 500-ზე მეტი კაცი, რომელთა გვამები ძაღლებს გადაუგდეს.

მე ძალიან გამიჭირდა დამერწმუნა ადგილობრივი მცხოვრებლები, **რომ ასეთი აზრი შესაძლებელია სადმე არსებულიყო.** მათ ეგონათ, რომ მე „ვიღაც ჭკუა-შემცდარი უცხოელი“ არაკებს ვამბობდი.

მენშევიკების „გავლენა“.

ჩვენ გვეუბნებოდენ ინგლისში, რომ საქართველოს მუშები მოუთმენლათ მოელიან ჟორდანიას ჩამოსვლასო. გუშინ ბორჯომში მე გავედი მუშამოსამსახურეთა და გლეხთა მრავალრიცხოვან კრებაზე. როდესაც უამბე მათ, თუ როგორ ბრალდებას ურდგენს ჟორდანია და კომპანია საბჭოთა საქართველოს, ამან მოახდინა ისეთი ეფექტი, რომ მე ვფიქრობ,—ჟორდანია რომ ამ მიტინგზე გაჩენილიყო, მას არ მოუხდებოდა „ჩეკა“-ს აგენტების ცდა.

— ქართველი მუშები მას იქვე წინაპრებთან გაგზავნიდენ.

კრებამ ერთსულოვნათ დაავალა მეცნობა ინგლისის მუშებისათვის, რომ ჟორდანიას სიცრუის უნარი თვალსაჩინოთ განვითარდა იმ მომენტიდან, როდესაც მან საქართველო დასტოვა.

ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ კოოპერატიული მოძრაობა აქ იხშობა; მაგრამ ესეც, როგორც სხვა ჭორი, სიცრუე გამოდგა.

წითელი არმია.

ყველგან, სადაც არ ჩავედი მე ვეკითხებოდი ხალხს: სურთ თუ არა საქართველოს მუშებს და გლეხებს, რომ წითელი არმია აქ დარჩეს?

ამ კითხვაზე მე კითხვითვე მიპასუხებდენ:

— მაშ როგორ შეიძლება დავიცვათ ქვეყანა უარმიოთ უცხოეთის ინტერვენციისაგან?

და მე პირადათ დავრწმუნდი, რომ წითელ არმიას აქ უყურებენ არა როგორც მჩაგვრელთა არმიას, როგორც ამბობენ და ფიქრობენ დასავლეთ ევროპაში, არამედ როგორც დამცველს ექსპლოატაციისა და ინტერვენციისაგან

საბჭოთა პრესის შესახებ.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა პრესას არ ესაჭიროება დასავლეთის პრესის მაგალითი.

საბჭოთა პრესა ეწევა მუშაობას მასების განათლების მხრივ. იგი არ ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს—იგი ასწავლის მასებს.

არაფერი ამის მზგავსი არ არის დასავლეთ ევროპაში, სადაც მუშათა პრესა დაჩაგრულია კაპიტალისტური პრესის მიერ იმ დროს, როდესაც პირველი სულს ღაფავს მძიმე სალტებში, მეორე იფურჩქნება, ვინაიდან ინგლისის ბურჟუაზიულ გაზეთის მხოლოდ ერთი განცხადება იძლევა ნომერში 5 ათას გირვანქა სტერლინგამდე. მაგრამ არსებითად, არც ერთ ამ გაზეთს არ უწყობენ ხელს მისი ხელისმომწერლები.

მ-რ კოუტსმა დაასურათა ბურჟუაზიულ პრესის დამოკიდებულება მუშების თავისუფალი სიტყვისადმი შემდეგი სიტყვებით:

ყველაფერი ის, რაც მე ვნახე, სიმართლე საბჭოთა რუსეთის და საქართველოს შესახებ დაბეჭდილი იქნება მხოლოდ ინგლისში ჩასვლის შემდეგ ტრედ-უნიონების ორგანოებში. თუ მას გადაბეჭდავენ სხვა გაზეთები, ალბად ძალიან დაამახინჯებენ.

ჭ პოსტი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(4 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	20.000
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	19,150
ჩეკები —	17,000
დოლარი ეფექტ. — —	4,050
ჩეკები	3,650
ოსმალ. ქაღ. ლირა ეფექტ.	2775
ჩეკები —	2,425
იტალიური ლირა — —	140
ფრანგული ფრანკი —	210
საბჭოთა ფულის ნიშ.	18

მუშკოპის ფასები.

(4 აგვისტო).

პური გირ.—60 ათასი. ყუბანის ფქვილი გირ. 1 ხარ.—120 ათ., ნატეხი შაქარი—950 ათ., ფხვნილი შაქარი 700 ხორც. გ. ძროხის—450 თუშური ყველი—600, ჰოლანდიური ყველი 600 ათ., კარაქი—1.400 ათ., საპონი „ტოლლე“ 500 ათ., ხანის

პარლამენტარული დემოკრატია თუ პროლეტარიატის დიქტატურა

(ამხ. მარტინოვის მოხსენება ყოფ. მენშევიკების ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე).

მარტინოვი. ამხანაგებო, მე გავაკეთებ მოხსენებას შემდეგ თემაზე: „პარლამენტარული დემოკრატია, თუ პროლეტარიატის დიქტატურა“.

ორი გზა: ან ერთი ან მეორე

ისტორიამ დღის მწვავედ დააყენა საკითხი: ამ გზით უნდა წავიდეთ, თუ სხვა გზა უნდა ავირჩიოთ (ამ გზით, თუ იმ გზით). გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ვინც უარს ამბობს პროლეტარიატის დიქტატურის გზით სვლაზე ის, ძალაუნებურად, ბარიკადის მეორე მხარეზე დგება. მაგალითებისათვის შორს არ დაგვჭირდება წასვლა. ავიღოთ მაგ. მენშევიკ-ინტერნაციონალისტები განსვენებული მარტოვის მეთაურობით და ორ-ნახევარი ინტერნაციონალის დასავლეთის წარმომადგენლები ფრიც ადლერის მეთაურობით. თქვენ იცით, რომ მარტოვმა, ისე როგორც ფრიც ადლერმა, ომის დასაწყისში დაიკავა ინტერნაციონალისტური პოზიცია, რომ ის ილაშქრებდა იმ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელნიც ხმას აძლევდენ ომის კრედიტებს, იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაიკავეს სოციალ - დემოკრატიული პოზიცია, რომელნიც მხარს უჭერდენ ბურჟუაზიას ამ იმპერიალისტურ ომის დროს. თქვენ იცით, რომ ეს მენშევიკი-ინტერნაციონალისტები, ისე როგორც დასავლეთ ევროპის ორ-ნახ. ინტერნაციონალის ყველა წევრები, მუდამ ილაშქრებდენ სოციალისტების და ბურჟუაზიულ პარტიების კოალიციის წინააღმდეგ.

თქვენ იცით, რომ რუსეთის მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, რომელნიც რუსეთში ჩამოვიდენ თებერვლის რევოლიუციის დროს, აწარმოებდენ ბრძოლას კოალიციონურ ხელისუფლების წინააღმდეგ, სოციალისტ-რევოლიუციონერთა და სოციალ-დემოკრატების კოალიციის წინააღმდეგ ერთის მხრივ და კადეტების მეორე მხრივ. ერთის შეხედვით, თითქოს, ისინი ახლოს იდგნენ ბოლშევიკების პოზიციასთან, მაგრამ უკანასკნელ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდენ. როდესაც მოხდა ოქტომბრის გადატრიალება და როდესაც ჩვენში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა, მათ უკან დაიხიეს. რა გამოიწვია ყველაფერმა ამან? ამან გამოიწვია ის, რომ ყველა ეს ინტერნაციონალისტები, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდენ დაბრუნებოდენ ძველ გატეხილ გობს და გაერთიანებულიყვენ მეორე ინტერნაციონალთან, იმ შეიდემანებთან და ჰენდერსონებთან, რომელთაც ისინი მოღალატეებათ ნათლავდენ. მათ უწოდებდენ მოღალატეებს, მაგრამ რამდენადაც ისინი ვერ ბედავდენ პროლეტარიატის დიქტატურასთან მისვლას, იმდენად ისინი დაიშვენ უკან და მოექცნენ მათ წრეში. ამ მაგალითზე თქვენ ხედავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებას ან არ აღიარებას. ამ მაგალითზე თქვენ ხედავთ, რომ ვინც ამ ნაბიჯს არ გადასდგამს, ის აუცილებლად ამოჰყოფს თავს ბურჟუაზიის ბანაკში. მე ავღნიშნე მთელი მიმდინარეობა, მთელი მიმართულება სოციალიზმში.

კაუცკი მარქსის წინააღმდეგ.

ეხლა მე მოვიყვან ცალკე პირების მაგალითებს. ავიღოთ კარლ-კაუცკი. თქვენ იცით, რომ კარლ-კაუცკიმ ჯერ კიდევ ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე 1900 წელს წარადგინა რეზოლიუცია მინისტერიალიზმის წინააღმდეგ, ე. ი. ბურჟუაზიულ სამინისტროში სოციალისტების მონაწილეობის წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიასთან კოალიციისა ომის დაწყებამდე. თქვენ იცით, რომ კარლ-კაუცკიმ 1906—7 წლებში გამოსცა წიგნი „გზა ხელისუფლებისაკენ“, რომელიც თავისი შინაარსით ახლოს იდგა ბოლშევიკურ მიმართულებასთან. თქვენ იცით, რომ კარლ კაუცკი პლეხანოვის შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება რუსეთის რევოლიუცია,—ბოლშევიკურ მოსაზრებით უპასუხებდა, და აი ეს კარლ კაუცკი, როდესაც ომის დროს მწვავედ დაისვა საკითხი—იქით, თუ აქეთ, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ბურჟუაზიის, თუ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის წინააღმდეგ, განიცდიდა მერყეობას; ხოლო, როდესაც იფეთქა ოქტომბრის რევოლიუციამ, ის იყო პირველი ხელისშემშლელი ბრძოლისა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. და რით დაამთავრა კაუცკიმ? ამას წინად მან მეორეთ გამოსცა თავისი ძველი წიგნი „გზა ხელისუფლებისაკენ“ და წარუმძღვარა მას წინასიტყვაობა. ამ წინასიტყვაობაში ის ამბობს: „ტყუილად მისაყვედურებენ მე იმას, რომ მე გამოვიცვალე ჩემი ძველი შეხედულება. მე ისევ ის ძველი მარქსისტი ვარ, რაც წინად ვიყავი. იმასვე იმეორებს ის თავის მეორე უკანასკნელ წიგნში და დასძენს: მე მხოლოდ ერთი მცირე შესწორება შემაქვს მარქსიზმში; მარქსი ამბობდა, რომ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის იქნება გარდამავალი ხანა—პროლეტარიატის დიქტატურა მაშინ, როდესაც, „როგორც ეხლა ირკვევაო, ამბობს ის,—კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის გარდამავალი ხანა იქნება კოალიცია ბურჟუაზიასთანო“ მცირე შენიშვნა! ამხანაგებო, ეს მაგონებს ცნობილ ანეკდოტს: ერთ ქალიშვილს უკანონოთ ეყოლა შვილი და როდესაც მას უთხრეს, როგორ მოგივიდა, თავი შეირცხვინეო, მან უპასუხა: მე ხომ სულ პაწაწინა ბავშვი ვშობეო. კარლ კაუცკიმაც შობა სულ პაწაწინა ბავშვი; მან შეიტანა სულ მცირე შენიშვნა მარქსიზმში: პროლეტარიატის დიქტატურის ნაცვლად—კოალიცია ბურჟუაზიასთან; დანარჩენში ის ისევ ძველი კაუცკი რჩება. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, ეს ყოფილა—შეიძლება აქ არიან მუშები, რომელნიც მუშაობენ ქიმიურ მრეწველობაში—ლაკმუსის ქაღალდი. ამ ქაღალდით შეიძლება გაიგო, ვისთან არის სოციალისტი: ბურჟუაზიასთან, თუ ჩვენ წინააღმდეგ. მეორე მაგალითი. მენშევიკი დალინი. ის უწოდებს თავის თავს მენშევიკ-ინტერნაციონალისტს, მაგრამ მას ეშინოდა პროლეტარიატის დიქტატურის, მას ეშინოდა სამოქალაქო ომის. ეს დალინი, სხვათა შორის, გახლავთ საზღვარ-გარეთელ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკის“ რედაქციის ერთ-ერთი წევრთაგანი. ამას წინად მან გამოუშვა წიგნი შემდეგი სახელწოდებით: „ომის და რევოლიუციის შემდეგ“.

ამ წიგნში ის სცდილობს „მცირე“ შესწორების შეტანას მარქსიზმში. ის ამბობს, რომ მას სურს სოციალისტური რევოლიუცია, მხოლოდ სამოქალაქო ომის ტერორის დიქტატურის გარეშე, და აი ამბობს ის, ამ თვალსაზრისით, ცოტაოდენად უნდა შეიცვალოს მარქსის ძველი თეორია, უნდა ვაღიაროთ, რომ მარქსი 40 იან წლებში აგრეთვე ბოლშევიკი იყო უნდა ვაღიაროთ, რომ ენგელსიც ბოლშევიკი იყო, რომ ბებელიც კი ბოლშევიკურად მსჯელობდა, როდესაც ის ლაპარაკობდა სოციალურ კატასტროფაზე. ეხლა საჭიროა ემ თეორიაში შესწორების შეტანა. მარქსის თვალსაზრისით, ამბობს ის, ბურჟუაზიული წესწყობილება მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მომწიფდება პირობები სოციალისტურ რევოლიუციისათვის, როდესაც ეკონომიური წესწყობილება ამისათვის სავსებით მომწიფდება. სანამ იგი არ მომწიფებულა, სოციალური რევოლიუციაც შეუძლებელია.

მაშ რა არის საჭირო იმისათვის, რომ იგი მომწიფდეს? ამისათვისო ამბობს ის, საჭიროა, რათა კაპიტალისტურმა მეურნეობამ აღარ ითამაშოს პროგრესიული როლი, საჭიროა რათა კაპიტალისტურ მეურნეობას აღარ ესაჭიროებოდეს კერძო ინიციატივა, კერძო აღმოჩენები, თავისუფალი კონკურენცია. როდის მოხდება ეს? ეს მოხდება მაშინ, როდესაც მთელი მრეწველობა წავა ერთი განსაზღვრული შაბლონით. აი, მაგალითად, ასე, როგორც, ვთქვათ, რკინის გზები ერთნაირი შაბლონით გაჰყავთ, აქ არ არის საჭირო არავითარი კონკურენცია, არ არის საჭირო კერძო ინიციატივა, ყველა გზები ერთნაირად გაჰყავთ. მთელი მრეწველობა როდის-ღა არ დაისაჭიროებს არავითარ კონკურენციას, და ყველაფერი ერთნაირი შაბლონით წავა? ეს ასე ჩქარა არ იქნება, ამბობს ის. გერმანიაში, ყველაზე განვითარებულ სამრეწველო ქვეყანაში, წარმოებათა მხოლოდ 10 პროც. მომწიფდა იმისათვის, რომ მათი ნაციონალიზაცია გამოცხადდესო, იქ შაბლონით მუშაობს მხოლოდ 10 პროც, ხოლო სანამ ყველა წარმოებები მომწიფდებოდეს, გაივლის 200 წელი, მხოლოდ 200 წლის შემდეგ მომწიფდება პირობები სოციალიზმისათვის. მართლადაცო, ამბობს ის, შეხედეთ სამკერვალო ხელოსნებს, კონფექციონურ მრეწველობას, რამდენნაირი ფასონები და მოდებია? ზოგს ხურავს ერთნაირი ქუდები, ზოგს მეორენაირი, ერთნი ატარებენ ერთ ფასონს, მეორენი მეორე ფასონს. რამდენი ხანია საჭირო მანამ, სანამ ერთი ან რამდენიმე ფასონი იქნება; ეს დრო ძალიან შორს არის. მართალიაო, ამბობს ის, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყოს მნიშვნელოვანი საკითხი, რომ კაცობრიობა ბევრს წააგებდა, თუ ქალები სხვა და სხვა ფასონებს ატარებდნო, მაგრამ მაინც ჩვენ არ შეგვიძლია ხელი შევუშალოთ ეკონომიურ პროგრესს, სანამ გვაქვს მოთხოვნილება მრავალგვარ ფასონებზე. ჩვენ კი არ უნდა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილებანი, არამედ უნდა ვსთქვათ, რომ კაცობრიობის ლამაზ ნახევარს, ქალთა სქესის ტანზე გახდა უფრო ადვილია, ვიდრე ჩაცმა. და აი, თურმე, მუშა-ქალებმა 200 წლის განმავლობაში უნდა იტანჯონ კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში, სანამ არ შეთანხმდებიან ქუდების ერთნაირ ფასონების შესახებ. აი როგორი გზა აირჩია სოციალიზმისაკენ დალინმა. როდესაც ყველაფერი ერთნაირი შაბლონით წავა, მაშინ ადვილი იქნება სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა. მაშინ ყველა ფაბრიკები და ქარხნები შეიძლება გამოვიყიდოთ ბურჟუაზიისაგან, ისევე როგორც რკინის გზები. როდესაც გამოისყიდიან. მაშინ ბურჟუაზია მიიღებს მხოლოდ რენტას და მისი წართმევაც ძალიან ადვილი იქნება. ასე მაგალითად ერთ მშვენიერ დღეს შეიქმნება სოციალისტური საზოგადოება კატასტროფის და სამოქალაქო ომის გარეშე. რა კარგია, მხოლოდ ცოტა მოითმინეთ, ეს მოხდება 200 წლის შემდეგ! აი სწორედ გამართლდა თქმულება—Коготок увяз—всей птичке пропасть“! და წყევ იქიდან, როგორმე მოეწყოს საქმე ისე, რომ კატასტროფის, სამოქალაქო ომის, დიქტატურის გარეშე მოხდეს სოციალისტური რევოლიუცია, და გაათავეს იმით, რომ საჭიროა სოციალიზმის გადადება 200 წლით. აი, ხედავთ, როგორ ადვილია საკითხის გადაჭრა—პროლეტარიატის დიქტატურა, თუ საპარლამენტო დემოკრატია.

ძირითადი საკითხი.

შეიძლება მიპასუხონ,—ეს საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის, თუ საპარლამენტო დემოკრატიულ რესპუბლიკის საშუალებით სოციალიზმის განხორციელების შესახებ, ხომ მხოლოდ ეხლა, მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაისვა დღის წესრიგშიო, წინად ხომ პროლეტარიატი არსად არ ყოფილა ხელისუფლების სათავეში, და როგორც ვიცით, წინადაც ეკამათებოდენ ბოლშევიკები მენშევიკებს; მაშასადამე ეს არ ყოფილა ყველაზე მთავარი სადაო საკითხი. არა, ამხანაგებო, სწორეთ ეს არის მთავარი, ძირითადი საკითხი. მართალია, პრაქტიკულათ ეს საკითხი წესრიგში დაისვა მხოლოდ დღეს, როდესაც პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება, მაგრამ მენშევიზმის და ბოლშევიზმის არსებობის დღიდანვე, ეს პარტიები განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან მით, რომ ერთ პარტიას აღებული ჰქონდა გეზი პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, ხოლო მეორეს დემოკრატიულ პარლამენტარულ რესპუბლიკისაკენ. ბოლშევიკური პარტიის მთელი ორგანიზაცია, მთელი მისი ტაქტიკა მიმართული იყო იქითკენ, რათა მიეღწიათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ხოლო მენშევიკური პარტიის, და არა მარტო რუსეთის მენშევიკური პარტიის, არამედ ინტერნაციონალის ყველა პარტიების ტაქტიკა მიმართული იყო დემოკრატიულ პარლამენტარიზმისაკენ.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც ერთნაირად ამტკიცებდენ, რომ ისინი მარქსის და ენგელსის ერთგული მოწაფეები არიან. თქვენ იცით, რომ მარქსი და ენგელსი ორივე მიმართულებისათვის იყვენ ხატები. ხატებზე ლოცულობენ; მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ არა ყველა ისინი, ვინც ამბობს—„უფალო! უფალო!“ შევლიან სასუფეველსა ცათა; შეიძლება ხატებზე ილოცო და ცხოვრებაში კი სრულიადაც არ იყო წმინდანი; შეგიძლია დაჰკიდო მარქსის და ენგელსის ხატები და ილოცო მათზე, მაგრამ ნამდვილად კი, პრაქტიკაში სრულიადაც არ იმოქმედო მარქსის და ენგელსის მიხედვით. და აი, ჩვენ უნდა ვკითხოთ ჩვენ თავს, ამ ორ პარტიიდან, ამ ორ მიმართულებიდან რომელი უფრო ერთგულად მისდევდა მარქსის და ენგელსის მოძღვრებას, ბოლშევიკური, თუ მენშევიკური. ამხანაგებო, საიდან შეისწავლეს მარქსმა და ენგელსმა რევოლიუციის ხელოვნება? იმათ ხომ ეს ხელოვნურად არ გამოუგონებიათ: მათ ქონდათ პრაქტიკა, გამოცდილება. როგორი გამოცდილება და პრაქტიკა ქონდათ მათ? მე-18 საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლიუციის გამოცდილება.

ცოტა რამ საფრანგეთის ისტორიიდან.

მარქსმა და ენგელსმა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მიხედვით შეიმუშავეს წარმოდგენა იმის შესახებ, როგორ ვითარდება რევოლიუცია. საფრანგეთის ამ დიდ რევოლიუციის დროს, როგორც, ალბათ, ბევრ თქვენგანს მოეხსენება, იბრძოდა ორი პარტია: ერთი პარტია იყო ჟირონდას პარტია—ჟირონდელები, მეორე კი მთის პარტია—მონტანიარები, ანუ იაკობინელები. ისინი განსხვავდებოდენ უწინარეს ყოვლისა მით, რომ ეყრდნობოდენ მცხოვრებთა სხვადასხვა ფენებს. ჟირონდიელები ეყრდნობოდენ საშუალო ბურჟუაზიას, ხოლო იაკობინელები ღარიბ ხალხს, ხელოსნებს, საერთოთ წვრილ ბურჟუაზიას, სანკიულოტებს. მაგრამ ეს არის პარტიის სოციალურ შემადგენლობის საკითხი. მიმართულებით კი რით განსხვავდებოდენ ისინი? ჟირონდელები ამბობდენ, რომ ყველაზე მაღლა ჩვენ უნდა დავაყენოთ პიროვნების, სიტყვის, ბეჭდვის, კრებების კავშირთა და კერძო საკუთრების თავისუფლება; ისინი იყვნენ თანამედროვე ლიბერალების წინაპრები, ისინი იყვნენ თავისუფალი მოაზროვნეები. იაკობინელები აგრეთვე აღიარებდენ თავისუფლებას, მაგრამ ისინი ამბობდენ, რომ თუ ცხოვრებაში, პრაქტიკაში შეეჯახებიან ერთმანეთს პირადი თავისუფლების ინტერესები ხალხის ინტერესებს „საზოგადოების დაცვის“ რევოლიუციის შენარჩუნების ინტერესებს, მაშინ მას უნდა შეეწიროს თავისუფლება. თუ საზოგადოების გადასარჩენად საჭიროა პირადი თავისუფლების შეწირვა, უნდა შეეწიროს. ყველაზე მაღლიაო ამბობდენ ისინი, არა „ადამიანის უფლებები“, არამედ „მოქალაქის უფლებები“, ე. ი. საზოგადოების, ხალხის უფლებები. როდესაც რევოლიუციის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, როდესაც მის წინააღმდეგ გამოვიდა ყველა რეაქციონური ევროპის სახელმწიფოების კოალიცია, როდესაც საფრანგეთის მეფემ დაიწყო ინტრიგები მის წინააღმდეგ საზღ.-გარეთელ კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად, როდესაც მდიდრები „მოოქრული შარვლები“ დახმარებას უწევდენ ამ მოღალატეებს, ხალხი მიდიოდა რა ფრონტზე, სამრად კოალიციის წინააღმდეგ, ამბობდა: ჩვენ მივდივართ თავი დავსდოთ რესპუბლიკისათვის და არ გვინდა, რომ ჩვენ ზურგს უკან მოღალატეები იდგნენ; ჩვენ დავიხოცებით ფრონტზე მაგრამ არ დაუშვებთ, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიხოცებით, ჩვენ ზურგს უკან ღალატობდენ რევოლიუციის ინტერესებსო; მოვითხოვთ დიქტატურას, ტერორის რეჟიმს, რათა დავაშინოთ ბურჟუაზია, რომელიც გვღალატობს ჩვენო.

ასე, ამგვარად დამყარდა იაკობინელების რევოლიუციონური დიქტატურის რეჟიმი. ეს იყო მკაცრი რეჟიმი, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ თუ მოსახერხებელი იყო მაშინ რევოლიუციის გადარჩენა, მხოლოდ ასეთი საშუალებით იყო ეს მოსახერხებელი.

წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი საფრანგეთი იყო მაშინ რევოლიუციონური. მთელი მსოფლიო კონტრ-რევოლიუციონური იყო ერთის მხრივ ინგლისი ესხმოდა მას თავზე; მეორეს მხრივ ხმელეთზე ევროპის ყველა სახელმწიფოები: პრუსია, ავსტრია და რუსეთი გაერთიანდენ საფრანგეთის ხალხის წინააღმდეგ. იგი თავის ქვეყანაში ახდენდა რევოლიუციას და ამავე დროს მას უნდა ებრძოლა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ და, თქვენ იცით, რომ ის არა მარტო იბრძოდა, მან დაიპყრო მთელი მსოფლიო; მაგრამ მან დაიპყრო მხოლოდ იმიტომ, რომ დაამყარა რევოლიუციონური დიქტატურა, იაკობინელების დიქტატურა.

ეხლა მე გკითხავთ, ვის მხარეზე იდგნენ მარქსი და ენგელსი ჟირონდელებსა და იაკობინელებს შორის

ი—300., კართოფილი—10 ათ, ო ლობიო—20. მწვანე ლო -80 ათ.; კომბოსტო 80 ათ. იჟანი—30 ც. პამიდორი—100. —450.

ფილისის ბაზრის ფასები

(4 აგვისტო)

რი 1 ხარ.—170—180, პური რ.—90 ფქვილი 1ხარ.—150 ნა- შაქარი—1.000 ათასი. 1.200 ი. ფხვნილი შაქარი—850 გრზო 0—1 მილ. კ რაქი—1 მილ., 0 ათ., მზესუმზირას ზეთი 500. ს საპონი „მამალი“—(ათი-)—700 მარმარილოს საპონი— დაშის ბრინჯი—250. წიწ- ბით—4—50. მწვანე ლო —100. კართოფილი—60— იდორი—150. ქერხალი—10 —80 ბადრიჯანი—30—10 ცხი—550 ძროხის ხორცი— 0 ც.

საქონლის განყოფილების მიმოხილვა.

(4 აგვისტო)

სური თეთრი თუნუქი. იგე მზესუმზირას ზეთი რუსეთის მინები 1 | 20 და 1 | 40 რი სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. და პურის პროდუქტები ებლო ლურსმნები. ას ს. ს. მ. უ. ს. საფეიქრო-საპნის ს პროდუქცია. მაკარონი ლი 2 ხარ. ცემენტი ნოვო ს რკინეულება. ქაღალდ ონები. რკინეულება. სალ

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(4 აგვისტო)

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. კრასნოდარის სალამსი. ცემენტი პორტლანდის. ნედლი ტყავები. შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ნახიჩევანისა და ბ. ხმუტის ქვა მარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი. ქრლონები. კალა. კან. ფული. ქერი. მზესუმზირას ზეთი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მარიგებანი.

(4 აგვისტო)

ყუბანის მზესუმზირას ზეთი 0,87 ჩერ. ფუთი წმინდა წონა, მყიდველის ფრანკო საწყობი.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(4 აგვისტო)

შაქრის ბაზარზე ფასები იწევს; დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

სავაჭრო საშუამავლო კონტორის მოწყობა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო წრეებთან სავაჭრო საშუამავლო კონტორის მოწყობის შესახებ საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებისათვის. მოლაპარაკება დამთავრებული იქნება უახლოეს მომავალში.

ქრონიკა

ქალაქეთა საყურადღებოთ. მის პრეზიდიუმის წევრს, ამხ. შვილს თანახმად ტფილისის მის პრეზიდიუმის დადგენი- დაევალა ტფილისის ფარგლებში მყოფ სასაფლაოთა საბჭოების გამგე მღვდლების მიერ საფლავის მიწებით ვაჭრობის შესახებ ების წარმოება. მოქალაქეებმა, რომელთაც საბუთებული საჩივრები და ები რომ ამა თუ იმ სასაფლაოს ბოს ან მღვდლებმა უარი და უსასყიდლოთ მიცვალებულის სასაფლავებლად მიწის დათ- გამოიგზავნოს ასეთები შემ- სამართით: ლ. დუმბაძის ქ. ლი ველიამინოვის ქ) № 7, თველოს განყოფილების გამგეს.

ქალაქის აღმასკომში

ხმარება ბავშვთა სახლებს. ღმასკომის განათლების განყოფილებამ საქ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან საბავშვო სახლებისთვის მიიღო 500 ფ. თეთრი ფქვილი.

ახალი ელექტრონის მანქანის ება. ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის საამშენებლო ტეტმა პეტროგრადში „შეიძინა მულ სადგურისათვის ელექტრო- ახალი მანქანა: „რუსული დიზელი“—80 ცხენიანი ძალის.

— **სკოლების რაოდენობა ტფ. მაზრაში.** წასულ სამოსწავლო წელს ტფილისის მაზრაში აღრიცხულია 02 სკოლა, რომელთაგან 40 ქართულია, 33 რუსული, 10 სომხური, 8 ბერძნული, 6 მუსულმანური, 4 გერმანული და 1 ოსური.

შრომის სახალხო კომისარიატში.

— **სენაკის საკორესპონდენტო პუნქტის შესახებ.** კომისარიატის მიერ უარყოფილ იქნა სენაკის პროფკავშირთა შუამდგომლობა ადგილობრივ შრომის ინსპექციასთან საკორესპონდენტო პუნქტის აღდგენის შესახებ.

— **აფხაზეთის შრ. რწ. სამმართველოს მოქმედება.** აფხაზეთში შრ. რწმუნებულის სამმართველოს მოქმედების ანგარიში მოიწონა და დამტკიცა შრ. სახ. კომ.

— **შრომის ინსპექტორთა გადასინჯვა.** კომისარმა მოისმინა რა მოხსენება ტფილისის შრომის ინსპექტორთა შემადგენლობის გადამსინჯველ კომისიისა; ყველა ინსპექტორების მუშაობა სცნო დასაკმაყოფილებლათ. ამავე კომისიას წინადადება მიეცა დააჩქაროს გადასინჯვა პროვინციის შრ. ინსპექტორების.

— **საექიმო-საკონტროლო კომისიები.** კომისარიატმა დაადგინა მუშ. მოსამსახურეების საექიმო საკონტროლო კომისიები დარჩეს დამზღვევ თან და მათში ჯანმრთელობის განყოფილებათა წარმომადგენლების ყოფნა ცნობილ იქნას სასურველად.

— **ტყუპი შვილების მშობიარობისთვის.** ტყუპი შვილების მშობიარობისათვის კომისარიატის დადგენილებით, დამზღვევ კასათა წევრების ცოლებს და წევრ მუშა-ქალებს დახმარება უნდა მიეცეს ორმაგი.

წითელ ჯვარში.

— **საექიმო პერსონალის გაგზავნა სვანეთში.** ამ დღეებში, წითელი ჯვარის საზოგადოება სვანეთში აგზავნის 6 ექიმს, ფერშალს და 1 სანიტარს საჭირო წამლებით.

გამომცემლობა.

— **ჟურნ. „მომავალი“.** გამოვიდა და იყიდება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „მომავალი“ს მეშვიდე ნომერი. ჟურნალი მდიდარ მასალებს შეიცავს და ღირს 500.000 მანეთი.

შრომის ბირჟა

— **მოსამსახურეთა სიის შედგენა.** შრომის ბირჟამ წინადადება მისცა ყველა სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებას დაჩქარებით წარმოადგინონ სრული სია თავიანთი მოსამსახურეებს.

— **უმუშევრები.** 1 და 2 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 397 უმუშევარი, ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევრები—98, გაიგზავნა სამუშაოზე 171.

სხვა და სხვა.

— **ლტოლვილების გაგზავნა სამშობლოში.** ა. კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული დამშეულთ დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ყველა ლტოლვილები სომხებიდან სომეხი, აისორი და სხ—გააგზავნოს სამშობლოში - სომხეთში უფასოთ. ლტოლვილების გაგზავნა უკვე დაიწყო. გრძელდება მსურველთაგან თხოვნების მიღება.

— **დახმარება სვანეთის ბავშვებს.** ტფ. ქალთა განყოფილების ინიციატივით შედგა კომისია სვანეთის ბავშვთა დასახმარებლათ. კომისიაში შედიან—წითელი ჯვარის, დამშეულთა დამხმარე კომიტეტის, განათ. კომისარიატის, ჯანმრთელობის კომისარიატის და ტფ. ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

— **სვანეთის ბავშვთა სახლის გახსნა.** სვანეთის ბავშვთა დამხმარე კომისიამ გადასწყვიტა გახსნას სვანეთის ბავშვთა სახლი, რომელსაც აღნიშნული კომისია გაუწევს მუდმივ მფარველობას.

— **ტუსაღთა შრომის არტელები.** ყველა გამასწორებელ სახლებში ეწყობა მოკლე ვადიან ტუსაღთა შრომის არტელები. ტფილისის გამასწორებელი სახლმა № 1 ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის ასაგებათ დაწყებულ სამუშაოზე გააგზავნა არტელი 265 ტუსაღისაგან შემდგარი მათივე სურვილის თანახმად. რომელთა შორის არიან კვალიფიციური მუშებიც.

ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართე კონფერენცია*)

მოხსენებანი ეროვნულ საკითხის შესახებ.

ეროვნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ქავთარაძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო კონფერენციას ეროვნულ და საბჭოთა სოც. საქართველოს უმრავლესობის და უმცირესობის ენების საკითხი. აგრეთვე მომხსენებელი თავის მოხსენებაში შეეხო ეროვნულ საკითხის მდგომარეობას მეფის რეჟიმის და დემოკრატიულ წესწყობილების დროს, გაატარა პარალელი დემოკრატიულ და საბჭოთა წესწყობილების შორის, უმთავრესად ეროვნული საკითხის მხრივ. მომხსენებელი ემყარება რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებებს ეროვნულ საკითხში. კონფერენციამ დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენება ეროვნულ საკითხის შესახებ.

ამავე საკითხზე მოხსენებას აკეთებს რუსულ ენაზე ამხ. ვ. სტურუა და აღნიშნავს, რომ ჩვენ მიერ აღებული გეზი სწორი იყო, რომ ჩვენ კი არ ვეყოფით ს. ს. რ. კავშირს, სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამეურნეო საკითხებში, არამედ, პირიქით, ჩვენ უფრო მჭიდროთ ვუკავშირდებით მას და საშუალებას ვაძლევთ ეროვნულ უმცირესობათ აღიზარდოს თავის სამშობლო და გასაგებ ენაზე. შემდეგ ამხ. სტურუა ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას მენშევიკების დროს და ამბობს: მენშევიკები უწოდებდენ თავის თავს დამოუკიდებლებს, მაგრამ მათი დამოუკიდებლობა არაფერში არ ჩანდა, მათი ბატონობის დროს ჩვენ ამიერ-კავკასიაში ვხედავდით ფერად ჯარებს, რომელნიც შემოჰყავდენ მენშევიკების მოწოდებით ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს მშრომელთა მასების დასაჩაგრავად. მენშევიკებმა გადააქციეს საქართველო კონტრ-რევოლიუციის ბაზად საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და სცდილობდენ ქვეყნის ევროპის მტაცებელთა ხელში ჩაგდებას. სად არის აქ დემოკრატიულ მმართველების დამოუკიდებლობა, როდესაც იმათ ინგლისის კარნახით ჩამოხსნეს საქართველოში რევოლიუციის წითელი დროშა და ჩამოჰკიდეს ეროვნული სამფეროვანი კონტრ-რევოლიუციონური დროშა.

რეზოლიუცია.

ამხ. ქავთარაძის და სტურუას მოხსენების შემდეგ მუშათა და გლეხთა კონფერენცია იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

„მოვისმინეთ რა ამხ. ქავთარაძის და სტურუას მოხსენებები ეროვნული საკითხის შესახებ, ჩვენ, ავჭალის რაიონის მუშათა და გლეხთა პირველი უპარტიო კონფერენციის დელეგატები, ვესალმებით რუსეთის კომპარტიის 12 ყრილობის დადგენილებებს ეროვნულ საკითხში, რომელმაც მეფის და მენშევიკურ რეჟიმის დროს იმსხვერპლა მშრომელ მუშების და გლეხების ათეული მილიონები, რათა კიდევ უფრო მეტად გამწვავებულიყო ეროვნული შუღლი სხვა და სხვა ერთა შორის ბურჟუაზიულ კლასის სასარგებლოთ. მაგრამ რუსეთის კომპარტიის 12 ყრილობამ თავის მშვიდობიან სხდომაზე სისწორით და უმტკივნეულოთ გადაჭრა ესოდენ ძნელი საკითხი ეროვნების შესახებ მუშათა და გლეხთა სასარგებლოთ და ამით ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა მენშევიკების მიერ დათესილი შუღლი ამა თუ იმ ერის მშრომელთა მასებს შორის და ამით დაამყარა საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასების შორის მშვიდობიანობა, ძმობის და სოლიდარობის სამეფო. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მშრომელთა მასების გამანთავისუფლებელს! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში! გაუმარჯოს 3 კომინტერნს, მსოფლიოს სოციალურ რევოლიუციის შტაბს და მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლს ამხ. ლენინს.

მოხსენებები ადგილებიდან.

მოხსენებებს ადგილებიდან აკეთებენ ავჭალის რაიონის წარმოებათა და სოფლების სახელით წინ და წინ ჩაწერილი დელეგატები. პირველად მოხსენებას აკეთებს სოფელ დიდი გლდანის დელეგატი ამ. **ნ. ზეგანიძე**, რომელიც თავის მოხსენებაში ხაზს უსვამს მიმდინარე წლის მოსავლის დაზარალებას გვალვების გამო და სარწყავ არხების უქონლობის და ითხოვს დახმარებას ამ დარგში სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მეორე მომხსენებლათ გამოდის ქვემო-ავჭალის და პატარა-გლდანის დელეგატი ამხ. **ა. ლანგე**, რომელიც ესალმება კონფერენციას და საბჭოთა წესწყობილებას კომპარტიის ხელმძღვანელობით და თავის სიტყვებში გამოსთქვამს სურვილს მთელ მსოფლიოში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ.

ეხება რა სასოფლო სამეურნეო ცხოვრებას, ამხ. ლანგე აღნიშნავს გაჭირვებულ მდგომარეობას გვალვის და მოუსავლობის გამო და აგრეთვე საქონლის ეპიდემიის გავრცელებას, რომლის წინააღმდეგ ავჭალის აღმასკომმა მიიღო ენერგიული ზომები, განუმარტა რა გლეხებს საქონლის აცრის მნიშვნელობა და ამას სასურველი შედეგებიც მოჰყვა. ეპიდემია თითქმის მოისპო. შემდეგ ამხ. ლანგე მოუწოდებს გლეხებს გაუწიონ აღმასკომს ყოველგვარი დახმარება რაიონში ეპიდემიის სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით თავის სიტყვის დასასრულში ამხანაგი ლანგე ხაზს უსვამს სარწყავ არხების გაყვანის აუცილებლობის თავიდან ასაცილებლად.

შემდეგ გამოდის სოფ. მამკოდის დელეგატი ამხ. **კბილაშვილი**, რომელიც ხაზს უსვამს მისი სოფლის საშიშარ მდგომარეობას წვიმების დროს ზვავების ჩამოწოლის გამო, რომელიც ანადგურებს მინდვრებს და შენობებსაც კი, აგრეთვე ამხ. აღნიშნავს, რომ საჭიროა საექიმო პუნქტის გახსნა ან ამ სოფელში ან მეზობელ სოფელ დიდ გლდანში. შემდეგ გამოდის ზემო ავჭალის დელეგატი ამხ. **მათიაშვილი**, რომელიც აგრეთვე ლაპარაკობს გვალვის და მოუსავლობის შესახებ, და მას საჭიროდ მიაჩნია სარწყავ არხების გაყვანა.

გერმანელთა კოლონიის ლიბკნეხტსდორფის დელეგატს შემოაქვს წერილობითი განცხადება მოუსავლობის და გვალვის და სათიბლე მასალის უქონლობის შესახებ. ეს წერილობითი განცხადება პრეზიდიუმის წინადადებით ეგზავნება ტფილისის აღმასკომს.

ღრმაღელეს მოსახლეობის წარმომადგენელი ამხ. **ა. ვართანოვი** აცხადებს, რომ ამ მოსახლეობის მცხოვრებთ ძალიან ცოტა მიწები აქვთ, თვით მცხოვრებნი კი ორ ჯგუფად განიყოფება: გლეხობა და მოხელეე-

---

*) გაგრძელება. იხ. გაზ. „კომუნ.“ № 179.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ფოთის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია

(შთაბეჭდილებანი)

ძნელი წარმოსადგენია სადმე ისეთი სოლიდარობა და ისეთი მთლიანობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყოფილ მენშევიკების ფოთის კონფერენციაზე.

ერთხმად, უკამათოდ ინტერნაციონალის ხმების ქვეშ მიღებულ იქნენ დეკლარაცია, თეზისები ეროვნულ საკითხის შესახებ, მისალმებანი და სხვა.

—რაშია საქმე, რატომ არავინ არაფერს არ ამბობს...

ეკითხები შენ თავს უნებურათ.

მაგრამ, თურმე, საკითხი სულ უბრალოთ იხსნება.

ყველა ეს საკითხები წინასწარ კრებებზე დიდი ხანია თვითეულისათვის გადაწყვეტილია, თვითეული მათგანი, სანამ წავიდოდა კონფერენციაზე, არკვევდა თავისთვის ყველა იმ კითხვებს, რომელნიც კონფერენციის დღის წესრიგში იდგენ; ყოველის მხრივ იხილავდა მათ და ამისათვის დიდი ხანია მომზადებული იყო.

მაგრამ, აი, გათავდა ოფიციალური ნაწილი. დაიხურა კონფერენცია. შემდეგ იწყება კონფერენციის არა ოფიციალური ნაწილი.

პარტიული ამხანაგები გროვდებიან მჭიდრო წრეში და ერთიერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, „გულს უხსნიან ერთმანეთს“.

— რა ამბავია ტფილისში. ჩქარა იქნება თუ არა სრულიად საქართველოს კონფერენცია, კითხვას იძლევიან ამხანაგები.

— საჭიროა ჩქარა მოვათავოთ ეს საკითხი და ავირჩიოთ სწორი გზა.. კმარა..

ამბობენ ამხანაგები...

— ჩვენ დიდი ხანია ვგრძნობდით ჩვენი ტაქტიკის გადასინჯვის აუცილებლობას, მაგრამ ჯერ კიდევ რყევაში ვიყავით. ტფილისმა ნიშანი მოგვცა.

— მე პირადათ დიდი ხანია თავი დავანებე მენშევიკურ პარტიაში მუშაობას, მაგრამ როგორღაც უხერხული იყო ოფიციალურად გამოსვლა და ამის გამოცხადება... როგორც არ უნდა სთქვა, მაგრამ ათეული წელია ვმუშაობ ამ პარტიაში... მაგრამ როდესაც გავიგე, რომ მრავალი გამოჩენილი ამხანაგები (ფარნიევი, რუხაძე და სხვები) გაბედულათ აცხადებენ და სწერენ ამაზე, მე მაშინ უთხარი ჩემს თავს: დროა მეც ვსთქვა, რაც დიდი ხანია გულს მიღრღნის,—ამბობს საუბარში კონფერენციის თავმჯდომარე ამხ. გოგიბერიძე.

— მე კი, ამხანაგებო, გუშინდლამდი კიდევ ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში, ამ დროის განმავლობაში წელიწად ნახევარი ციხეში ვიჯექი, მაგრამ ფიცსა ვსდებ, რომ დღეიდან ჩე მტკიცეთ ვდგევარ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და თქვენთან ერთად ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდი.—ამბობს ძველი სოციალ-დემოკრატი ამხ. ნ დეიშვილი.

მაგრამ გულში ყველას ერთი ტკივილი აქვს...

— სად არიან ძველი ლიდერები.. რატომ არა ჩანან ისინი ამ დროს, როდესაც მენშევიკების ბედი სწყდება...

მუშათა ცენტრებმა ხომ საბოლოოთ გაწყვიტეს კავშირი მენშევიზმთან, რატომ ჩვენთან არ არიან ჩვენი ლიდერები.

— ვისთან ღა უნდა იმუშაონ მათ, თუ არა მუშებთან..

დასმული იყო ასეთი კითხვები და გამოთქმული იყო სურვილი მათი ჩქარა ჩვენს რიგებში ნახვისა.

— ჩვენ გვიყვარდა ისინი, ჩვენ მათთან გვაკავშირებს ხანგრძლივი რევოლიუციონური მუშაობა და გვონდა, რომ ისინი ეხლაც ჩვენ თან იყონ. რატომ ისინი ვერ გრძნობენ თავის შეცდომებს.

ასე, გაწყვიტეს რა კავშირი ძველ ტაქტიკასთან და მტკიცეთ დადგენ მუშათა კლასის დიქტატურის პლატფორმაზე, ყოფილი მენშევიკები ეძახიან ამ გზაზე თავის უფროს ამხანაგებს...

კონფერენციამ თავის მუშაობის დამთავრების შემდეგ სურვილი გამოსთქვა აგრეთვე, რომ ფოთის ზოგიერთი გამოჩენილი მენშევიკები, რომელნიც ამ ჟამად ციხეში სხედან ან და ავად არიან, განთავისუფლებულ იქნენ.

— ჩვენ ვართ მათი თავდებნი. ჩვენ მოუვლით მათ და პირობას ვიძლევით ჩავითრიოთ ისინი ჩვენს რიგებში,—ამბობდა კონფერენციის თავმჯდომარე.

რას ნიშნავს ეს დადგენილება.

ძველ რევოლიუციონერებს, რომლებმაც შეიგნეს თავისი შეცდომა, სურთ, რომ მათთან ერთად იყვნენ ბრძოლის ახალ გზაზე ის ამხანაგებიც, რომელნიც მოწინავე მებრძოლები იყვნენ.

საინტერესოთ და საკმაოდ მოხერხებულათ იყო გარკვეული კონფერენციაზე ის განხეთქილება, რომელიც ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის არსებობს.

ერთ ოჯახში ორ ძმას ლაპარაკი მოუვიდათ. მათ სხვა და სხვა გზები აირჩიეს, მაგრამ მათი მიზანი ერთი იყო—ოჯახის ბედნიერება. ერთი ძმის გზა ყოველთვის აშორებდა ოჯახს ამ ბედნიერებისაგან. მეორე ძმის გზა ქმნიდა ამ ბედნიერებას. ეს რამდენიმე წლის შემდეგ გამოირკვა. და ეხლა ის ძმა, რომელიც შემცდარი გზით მიდიოდა, ბრუნდება ოჯახში, ურიგდება თავის ძმას და პირობას აძლევს მასთან ერთად იმუშაოს.

რა არის აქ შემცდარი. რატომ გვაგინებენ ჩვენ ამისათვის ზოგიერთები

ეკითხებოდენ თავის თავს ფოთის ამხანაგები და უკვირდათ ის გინება, რომელსაც მათ მიმართ გზავნიან, ის ამხანაგები, რომელნიც იცვლიან დღევანდელ პირობებში მიუღებელ ტაქტიკას.

— ჩვენ სრულებითაც არ ვეძებთ ახალ გზას. ჩვენ არ ვღალატობთ არც ძველ გზას. ჩვენ მხოლოდ უბრუნდებით ბრძოლის ძველს, ნაცად პროლეტარულ გზას, რომელსაც ჩვენ რამოდენიმე წლით დაშორებული ვიყავით...

აი რას ამბობდენ ფოთის მუშები..:

გადავიდეთ კონფერენციის შემადგენლობაზე

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 550 კაცი, მენშევიკურ პარტიის ყოფილი წევრები, ე. ი. მენშევიკურ პარტიის ქალ. ფოთის ორგანიზაციის ყველა წევრთა 90 პროც. 1920 წ. ცნობების მიხედვით.

დელეგატები იყო 110 კაცი (5 კაცზე ერთი დელეგატი), განსაკუთრებით მუშები—ნავთსადგურისა და რკინისგზელები.

დელეგატებს შორის იყვნენ მენშევიკურ პარტიის წევრები 1897 წლიდანაც კი.

76 დელეგატი (69,1 პროც) მენშევიკურ პარტიის წევრებია 1905 წლამდის, 13 კაცი (11,8 პროც.) პარტიის წევრები 1917 წლიდან, დანარჩენები 21 კაცი (19,1 პროც.) შესული არიან პარტიაში 1905—17 წ. წ. პერიოდის განმავლობაში.

აი როგორი ელემენტებისაგან შესდგებოდა ფოთის კონფერენცია!..

ის დაიშალა მტკიცე გადაწყვეტილებით:

— შეხვდენ ერთმანეთს სრულიად საქართველოს კონფერენციაზე და იქ საბოლოოდ და სამუდამოთ გადაწყვიტონ ყველა საკითხები...

ის დაიშალა მტკიცეთ დარწმუნებული იმაში, რომ:

— სრულიად საქართველოს კონფერენციაზე შეხვდებიან იმ მოწინავე პარტიულ ამხანაგებსაც, რომლებთანაც ერთად უმუშავნიათ ათეული წლები, მაგრამ, რომელნიც ეხლა რატომღაც განზე სდგანან ამ მასიური მოძრაობისაგან.

— ისინი ცოტანი არიან, ერთი მუჭა, მაგრამ ჩვენ მაინც ბევრი გვაქვს საერთო რევოლიუციონურ ბრძოლაში. და ამიტომ ჩვენ ისინი უნდა ჩავითრიოთ ჩვენს წრეში. ამას ჩვენ ვიზამთ. ისინი, ვისაც სურს ემსახუროს პროლეტარიატის ინტერესებს, მოვლენ ჩვენთან, ისინი კი, ვინც გასწყვიტა კავშირი პროლეტარიატთან, საბოლოოდ გადავლენ მუშათა კლასის მტრების ბანაკში. მათი გზაც იქითაა!.

ფოთი მუშათა პირველი ცენტრია საქართველოში თბილისის შემდეგ.

და მუშათა ამ ცენტრის ხმა უნდა იქნეს მოსმენილი და ანგარიშში მიღებული. ფოთის მუშებმა მიაღწიეს ახალ პლატფორმას რთულ ფსიქოლოგიურ ბრძოლის შემდეგ...

სანამ ისინი შესდგებოდენ მუშათა კლასის დიქტატურის პლატფორმაზე, თვითეული მათგანი სერიოზულათ იხილავდა შექმნილ მდგომარეობას, სწონიდა თვითეულ ფაქტს, თვითეულ მოვლენას მენშევიკურ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობიდან...

ისინი დიდხანს იხარშებოდენ წინააღმდეგობათა ქვაბში...

მაგრამ რევოლიუციონურ ხაზის გამორკვევის რთული პროცესი დამთავრდა.

და მუშათა ცენტრმა ფოთში იპოვა პროლეტარული საქმისათვის ბრძოლის ძველი, ნაცადი გზა...

ვისურვოთ, რომ ბრძოლის ახალ გზაზე შემდგარი ამხანაგები მტკიცეთ, რწმენით და იმ ღირსებით, რომელიც შეჰფერის პროლეტარულ საქმისათვის გამობრძმედილ მებრძოლებს, წასულიყვენ მუშათა კლასის იდეალების განხორციელებისაკენ.

ა. რუხაძე.

დავაში,—ჟირონდელების, ბინელების მხარეზე? აშკა- ჯერ, ასჯერ განაცხადეს მათ, ოლიუციონერების ნიმუშები იდი იაკობინელებიო. და ო მარქსი და ენგელსი, არა მოწაფეც, პლეხანოვიც იმას- და. ამხანაგებო, პლეხანოვი 03 1903 წელს სწერდა— ითქენ მიდის, რომ მთელ ში—ეს იყო წინასწარმე- ი სიტყვები, ის სწერდა ამის „ისკრას“ მეორე ნომერში,— წყება ბრძოლა სოციალისტ- ლებსა და სოციალისტ ია- ბს შორისო და რა თქმა ეხანოვი მხარს უჭერდა ია- ბს ჟირონდელების წინა

მე მეტყვიან: იაკობინელე მაინც დამარცხდენ, იაკო დაეცენ და მათი ადგილი მა დაიკავა. ეს მართალია, ტომ დამარცხდენ ისინი? ომ, რომ ხალხის რევოლიუ- ფენების დიქტატურა დაამ- ა, იმიტომ კი არა, არამედ ომ ისინი იყვენ წვრილი ს პარტია, იმიტომ, რომ გრამა იყო წვრილ ბურჟუა- ერ კიდევ სოციალისტებიც მათ უნდოდათ ძმობა ერ- ვისუფლებ , მაგრამ როგორ მათ ეს ძმობა, ერთობა, თა- ა? იმათ ესმოდათ ეს ასე, როა ქონების გათანასწორე- იბრძოლონ იმისათვის, რომ არც ძალიან მდიდრები და ან ღარიბები, არამედ იყოს ი წონასწორობა მესაკუთრეთა ს. ეს განუხორციელებელი იყო. შემოიღეს ნიხრი პურზე, უნდო- კერძო საკუთრებასთან ერთად ების საშუალებებით ძალით ებიათ კონკურენცია, მათ უნ- საკუთრების გათანასწორება, ისინი არ ფიქრობდენ წარ- განსაზოგადოებაზე, წარმოე- ციონალიზაციაზე. ისინი არ დენ და არც შეეძლოთ ამაზე იმიტომ, რომ კაპი- მაშინ არ იყო განვითარე- სხვილი მრეწველობა არ იყო რებული, მუშათა კლასი ის იყო და. მათ სურდათ შეექმნათ ის, ნაც შეუძლებელი იყო და აი, მარქსი და ენგელსი ფიქრობდენ წარსულ რევოლიუციაზე; ისინი ამბობდენ: ჩვენს ტაქტიკაში უნდა მივბაძოთ დიდ იაკობინელებს, ჩვენ უნდა ვეცადოთ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და პროლეტარიატის დამყარებას

მარქსის რევოლიუციონური თეორია.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი ხანა, სწერდა მარქსი—იქნება პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ერთ რამეში ჩვენ ვერ დავეთანხმებით იაკობინელებს—იაკობინელები იყვნენ წვრილი ბურჟუები, ჩვენ კი მთელი ჩვენი იმედი პროლეტარიატზე უნდა დავამყაროთო, პროლეტარიატი მოახდენს რევოლიუციას და მოახდენს იმის გამო, რომ თვით ეკონომიური განვითარება ხელს უწყობს მას. კაპიტალიზმის განვითარება წარმოშობს მსხვილ ცენტრალისტურ მრეწველობას. პროლეტარიატი ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის დროს ირაზმება, კავშირდება და ანვითარებს თავის კლასიურ თვითშეგნებას. ბოლოს და ბოლოს ის ჩაიგდებს ხელში მრეწველობას, ექსპროპრიაციას მოახდენს და დიქტატურის საშუალებით დაამყარებს სოციალისტურ წესწყობილებასო,—ასე მსჯელობდენ მარქსი და ენგელსი. ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისში—ლენინმა გამოუშვა წიგნი—„სახელმწიფო და რევოლიუცია“, სადაც მან თითქოს მეორეჯერ აღმოაჩინა მარქსი და ენგელსი. ლენინმა დაწვრილებით განიხილა ის, თუ რას ამბობდენ სხვა და სხვა დროს მარქსი და ენგელსი რევოლიუციონურ დიქტატურის შესახებ და დაგვანახვა, რომ ისინი არასოდეს არ უხვევდენ ამ პრინციპიდან. 1789 წლის რევოლიუციის გამოცდილების ნიადაგზე, 1848 წლის რევოლიუციის მიხედვით, მარქსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს, თუ იგი არ დაანგრევს მთელ ძველ ბიუროკრატიულ წესწყობილებას, მთელ მოხელეთა აპარატს, მთელ ძველ სამხედრო აპარატს თუ არ დაანგრევს, მაშინვე აღსდგებიან კონტრ-რევოლიუციონური ძალები, რომელნიც სჩაგრავენ, მუშათა კლასს. უნდა დაინგრეს ყველაფერი ეს; და როდესაც 1871 წელს იფეთქა პარიზის კომუნის აჯანყებამ, და როდესაც პარიზის კომუნამ დაიწყო იქიდან, რომ დაანგრია მთელი ძველი ბიუროკრატიული მანქანა, მარქსმა სთქვა: „აი, თქვენ პროლეტარიატის დიქტატურის ნიმუში“. ამაზე, სხვათა შორის, მარქსი და ენგელსი არ შეჩერდენ. ენგელსმა აღიარა, რომ მან და მარქსმა წინად დაუჯერეს ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს, რომელნიც ამბობდენ, თითქოს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს შექმნილი იყო დიდი ბიუროკრატიული მანქანა. შემდეგ მათთვის გამოირკვა, რომ საფრანგეთის დიდი ბიუროკრატიული მანქანა დანგრეული იქნა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მიერ, ხოლო შემდეგ აღადგინა იგი ნაპოლეონმა. როდესაც მათ გაიგეს ეს, მათ აღარ უთქვამსთ, რომ პარიზის კომუნა არის პროლეტარიატის დიქტატურის ერთად-ერთი ფორმა. დიქტატურის შესაფერი ფორმა, ამბობდენ ისინი, არის აგრეთვე 1793 წლის იაკობინელთა რესპუბლიკა. ასე სწერდა ენგელსი წასულ წლის 90 იან წლებში. როდესაც დამყარდა კავშირი საფრანგეთსა და რუსეთს შორის, და როდესაც აშკარა გახდა რუსეთის ინტერვენცია გერმანიის წინააღმდეგ, ენგელსი სწერდა—აბა ერთი გაბედონ იმათ გერმანიაში ინტერვენციის მოხდენა, ისინი დაინახავენ, რომ გერმანიის მუშებმა იციან ისეთივე მოქმედება, როგორც მოქმედებდენ საფრანგეთის სანკიულოტები 1793 წელს, როდესაც კონტრ-რევოლიუცია თავს ესხმოდა მათ. ისინი დაინახავენ, რომ გერმანიის პროლეტარიატიც დადგება დიქტატურის გზაზე. ასე სწერდა სიკვდილის წინ ენგელსი. როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ პროგრამის პროექტში წამოაყენეს თავისუფალი სახალხო რესპუბლიკების დაარსების აუცილებლობა, ენგელსი იძლეოდა კითხვას: რომელ თავისუფალ რესპუბლიკაზე ლაპარაკობენ ისინი? როდესაც ჩვენ დავიპყრობთ ძალაუფლებას, დავიპყრობთ არა იმისათვის რათა დავამყაროთ თავისუფლება, არამედ იმისათვის, რომ დიქტატურის საშუალებით დავამყაროთ კონტრ რევოლიუციის ყოველგვარი წინააღმდეგობა. თავისუფლება დამყარდება მაშინ, როდესაც იქნება კომუნიზმი, მაგრამ, სანამ ჩვენ მივალთ კომუნიზმამდე, ძალიან დიდი გარდამავალი დრო გაივლის და ამ დროს ჩვენ ვიფიქრებთ არა თავისუფლებაზე, არამედ დიქტატურაზე, მთელ კონტრ-რევოლიუციონურ მსოფლიოსთან დაუზოგავ ბრძოლაზე. აი, ასე ლაპარაკობდენ მარქსი და ენგელსი.

შესაძლოა ისინი სცდებოდენ, და მართალია დალინი, როდესაც ამბობს, რომ მარქსი და ენგელსი ბოლშევიკები იყვნენო. გინდათ უარყოთ მარქსი და ენგელსი, უარყავით, მაგრამ მათ ხელს ნუ ახლებთ, ამ ხატებს ნუ ემყარებით, ეს ხატები თქვენს სასარგებლოთ არ გამოდგებიან.

რევოლიუციების ახალი ხანა და 2 ინტერნაციონალი

რათქმა უნდა, ამხანაგებო, სასაცილოა ვიფიქროთ რომ სოციალიზმის ასეთი განვითარება საფრანგეთის რევოლიუციებით დამთავრდა. არაფერი ამის მზგავსი. როდესაც დადგა 2 ინტერნაციონალის ხანა სოციალიზმმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რაღაც კიდევ აკლდათ საფრანგეთის რევოლიუციებს. თქვენ იცით, რომ მაშინ პროლეტარიატი წვრიმალ ბურჟუაზიასთან და მეშჩანობასან იყო შერეული, ეს იყო არა პროლეტარიატი, არამედ უბრალო ხალხი, სანკიულოტები, ღარიბი ხალხი და ნათელი თვითშეგნება მაშინ მუშებს არ ჰქონდათ, ხალხი მიდიოდა საბრძოლველად, მიჰყვებოდა წინამძღოლებს, მაგრამ მიჰყვებოდა შეუგნებლად. მეორე ინტერნაციონალმა პირველმა დაიწყო მუშაობა პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების გასაღვიძებლად. მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც მეთაურობდენ გერმანიის სოციალ დემოკრატები, მიდიოდა მარქსის დროშის ქვეშ და მას ჰქონდა უდიდესი ისტორიული დამსახურება. რა გააკეთა მან. ის პირველ ყოვლისა სცდილობდა პროლეტარიატის კლასიურ ორგანიზაციის მოწყობას, ის შეუდგა მარქსისტულ პროპაგანდას და აგიტაციას მუშებს შორის ფართო მასშტაბით. მუშათა კლასმა პირველად მეორე ინტერნაციონალის დროს მიიღო სწორი წარმოდგენა იმაზე თუ რა არის კაპიტალისტური საზოგადოება, რა არის კაპიტალისტური განვითარება, რომ ჩვენ აუცილებლად სოციალიზმისკენ მივდივართ. მეორე ინტერნაციონალის დროს მუშათა კლასი აკრიტიკებდა ბურჟუაზიას, ადარებდა ბურჟუაზიის პროგრამას თავის პროგრამასთან, თავის მოთხოვნილებებს ბურჟუაზიულ მოთხოვნილებებთან და, ამგვარად, მე-2 ინტერნაციონალი ანვითარებდა მუშათა კლასის თვითშეგნებას. მეორე ინტერნაციონალს, რა თქმა უნდა, დიდი დახმარება მოუძღვის. როდესაც მარქსის მოწაფეები აარსებდენ მეორე ინტერნაციონალს, როდესაც ძველი ბებელი, ძველი ჟიულ გედი და სხვები აწყობდენ სოციალისტურ პარტიებს, მათ გულწრფელად სურდათ წასულიყვენ მარქსის გზით; ისინი არ ამბობდენ უარს სოციალურ რევოლიუციაზე, ისინი ყოველთვის იმეორებდენ: ჯერ-ჯერობით ჩვენ ვაწარმოებთ პარლამენტარულ ბრძოლას, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჩვენ დავიწყებთ გადამწყვეტ ბრძოლას, როდესაც დაიწყება დიდი სოციალური კატასტროფა. ისინი სახავდენ გზას სოციალიზმისაკენ არა ისე, როგორც დალინი, რომელიც ამბობდა: დაწვები დასაძინებლად, ხოლო როცა გამოიღვიძებ შეუმჩნევლად აღმოჩნდები სოციალიზმის სამეფოშიო. არა, იმათ იცოდენ, რომ დადგება ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის ხანა, მაგრამ ეს ძალიან შორს ეგონათ, როდის დადგებოდა ეს დრო არ იცოდენ. ვიმეორებ, ისინი, ვინც მარქსს მისდევდენ, ფიქრობდენ, რომ ბოლოს და ბოლოს პარლამენტარული გზა ადგილს დაუთმობს სამოქალაქო ომს. მაგრამ ეს საბოლოო მიზანი ძალიან შორს იყო. სამწუხაროთ მეორე ინტერნაციონალის ისტორიული პირობები არ იყო ხელსაყრელი რევოლიუციისათვის. ერთის მხრივ, ბურჟუაზიული რევოლიუციები დამთავრდენ, ნაციონალური ომები მოისპენ და ევროპაში დამყარდა მტკიცე წინასწორობა; მეორეს მხრივ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა, გერმანიამ, ავსტრიამ და იტალიამ იწყეს შეიარაღება, მილიტარიზმმა მიიღო ფართო ხასიათი; რაც დრო მიდიოდა, მით უფრო ძნელი იყო ბრძოლა ამ სახელმწიფოების წინააღმდეგ, ბურჟუაზია თითქმის მთლიანად მთავრობის მხარეზე გადავიდა, დაუკავშირდა ფეოდალებს, გახდა რეაქციონური. რატომ? იმიტომ, რომ ეროვნულად გაერთიანებულ სახელმწიფოებში ფართო გასაქანი მიეცა კაპიტალისტურ განვითარებას, ბურჟუაზია თავს კარგად გრძნობდა, სავსებით შეაქცია მან ზურგი რევოლიუციას. პროლეტარიატი ერთად-ერთი დადგა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მილიტარიზმის მრისხანე ძალების წინააღმდეგ. გეგონა, რომ ამ სიმაგრეს ვერასოდეს ვერ ავიღებდით. მეორეს მხრივ ამ სიმაგრის შიგნივ პროლეტარიატს მიეცა ერთგვარი გასაქანი. ბისმარკმა ნაპოლეონ მე-3-ის შემდეგ მიანიჭა გერმანელებს საყოველთაო საარჩევნო უფლებები, ამ საყოველთაო საარჩევნო უფლებით მუშები ძალიან კარგად სარგებლობდენ.

თვითეულ არჩევნების შემდეგ სოციალისტურ პარტიის სასარგებლოთ მიცემული ხმები სულ მატულობდა და მატულობდა, როდესაც ეს გერმანიის მთავრობამ დაინახა, მან შემოიღო კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. დაიწყო დევნა სოციალისტების, მაგრამ ამით არაფერი არ გამოვიდა; მათი ხმების რიცხვი თან და თან იზრდებოდა, პროპაგანდა ფართოვდებოდა. მაშინ უარი სთქვეს ბრძოლაზე და ერთგვარი თავისუფლება მისცეს სოციალ-დემოკრატებს. ბოლოს, ამ თავისუფლებების წყალობით, თანდათან სოციალ-დემოკრატებმა დაარსეს დიდი ორგანიზაცია; დაიწყეს დიდძალი გაზეთების გამოცემა, გაამდიდრეს თავიანთი პარტიული და პროფესიონალური კასები. სოციალისტური პარტიები ბურჟუაზიულ სიმაგრის შიგნივ თან და თან ძლიერდებოდენ. იმისდამიხედვით თუ რამდენადაც იზრდებოდა ორგანიზაციები, და სოციალისტებს ეძლეოდა გასაქანი ამ სიმაგრეში, ძველი რევოლიუციონური სული თანდათან ქრებოდა და ძველი იაკობინური იდეალები თანდათან მოისპენ და ბოლოს და ბოლოს სოციალისტური პარტიები დადგენ უკიდურეს ოპორტიუნიზმის გზაზე.

ყველაზე მკვეთრად ეს გამოიხატა საფრანგეთში, როდესაც სოციალისტი მილიერანი შევიდა სამინისტროში და როდესაც ჟორესი გამოვიდა მილიერანის დასაცავად, სოციალისტებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ბლოკის, კავშირის და კლასთა შორის თანამშრომლობის დასაცავად. საფრანგეთის ოპორტიუნისტების შემდეგ ოპორტიუნიზმის გზაზე დადგენ გერმანელები, თუ პრაქტიკაში არა, თეორეტიულად მაინც. პრაქტიკაში მინისტერიალიზმის განხორციელება ძნელი იყო, რადგან გერმანიის მთავრობა ახლოს არ აკარებდა სამინისტროსთან სოციალისტებს. გერმანელი სოციალ-დემოკრატი ბერნშტეინი შეუდგა თეორეტიულად მტკიცებას, რომ ჩვენთვის საჭიროა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა, რომ ჩვენ შეგვიძლია თანდათანობით შევიზარდოთ სოციალიზმში; სოციალური კატასტროფის ძველმა თეორიამ, ამბობდა ბერნშტეინი, რომელსაც მარქსი და ენგელსი ანვითარებდენ, თავისი დრო მოჭამა, თქვენ ხედავთ, ამბობდა ის,—სამრეწველო კრიზისები უკვე არ არის და არც ომებია, ჩვენ მშვიდობიანი გზით ვიჭრებით სოციალიზმში. ასე ლაპარაკობდა ის 1899 წელს, ხოლო 20 საუკუნის დასაწყისში ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს თავის მოტყუილება იყო. მილიერანი შევიდა სამინისტროში, გამოიჩინა თავი, როგორც მოღალატემ, და დაიწყო მუშების დახვრეტა; რაც შეეხება დაპირებას, რომ მოისპობა კრიზისები და ომები, ეს დაპირებანი დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. დადგა დიდი სამრეწველო კრიზისი, დაიწყო უმუშევრობა 1900 წელს, შემდეგ დაიწყო მთელი რიგი კოლონიალურ ომებისა; ამერიკა-ესპანეთის, ჩინეთის, რუსეთ-იაპონიის და სხვა. ერთი სიტყვით, ყველა ეს ტკბილი ოცნებები იმის შესახებ, რომ დადგება საუკუნო მშვიდობიანობა და რომ ჩვენ თანდათანობით შევიჭრებით სოციალიზმში, ზღაპარი აღმოჩნდა. მაშინ დაიწყო ბუნტი ოპორტიუნისტების წინააღმდეგ.

დრეზდენის და შემდეგ ამსტერდამის კონგრესზე 1903 წელს ოპორტიუნისტებთან მოხდა შეტაკება და უკანასკნელები დამარცხდენ. გვეგონა, რომ 2 ინტერნაციონალი ბოლოს როგორც იქნა დაადგა რევოლიუციის გზას, მაგრამ ეს ილიუზია იყო; სენი არ მოისპო, იგი შეიჭრა შიგნივ და ფარულად განაგრძო არსებობა. 2 ინტერნაციონალის სწორედ ის წინამძღოლები, რომელნიც თავის თავს, როგორც მაგალითად კაუცკი, მართლმორწმუნე მარქსისტებს უწოდებდნენ, აღმოჩნდნენ უკიდურესი ოპორტიუნისტები; რაში მდგომარეობდა ისეთი ხალხის ცოდვები, როგორიც არის კაუცკი?

მათი ცოდვა მდგომარეობდა იმაში, რომ თუმცა ისინი თეორიაში აღიარებდენ, რომ სოციალიზმი რევოლიუცის გარეშე შეუძლებელია, ისინი დიდი ხნით აჭიანურებდენ ამ რევოლიუციის ვადას, პრაქტიკულად კი მუშაობდენ პარლამენტში და ამგვარად დაჰკარგეს თანდათან წარმოდგინა იმაზე, როგორ ხდება რევოლიუცია, როგორ სწარმოებს ხელისუფლებისათვის რევოლიუციონური ბრძოლა. ძალაუფლებისათვის რევოლიუციონური ბრძოლა მათ შესცვალეს პარლამენტში გავლენისათვის ბრძოლით საყოველთაო საარჩევნო უფლების იმ თავისუფლებათა დახმარებით, რომლითაც სარგებლობენ პარლამენტარულ ქვეყნების მოქალაქენი. მათ წინაშე იხატებოდა შემდეგი სურათი: როდესაც საკმაო რაოდენობით მოხდება კაპიტალის კონცენტრაცია, როდესაც გლეხობის უმრავლესობა გადაიქცევა მუშებად, როდესაც მუშების უმრავლესობა შეუერთდება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მას შეეძლება პარლამენტში ხმების უმრავლესობის მიღება და მაშინ სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად უნდა ვერიდოთ ყველაფერ იმას, რაც საბაბს მისცემდა მთავრობას გაეუქმებია საყოველთაო საარჩევნო უფლება და თავის უფლებანი, დაენგრია მუშათა ორგანიზაციები და სხვა.

ნუ წამოეგებით პროვოკაციის ანკესზე! აი რა ლოზუნგი წამოაყენა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ. მთელი ეს წარმოდგენა სოციალიზმისაკენ მშვიდობიანი გზის შესახებ ყოველმხრივ გულუბრყვილოა

გულუბრყვილობა იქნება გვეფიქრა, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პროლეტარიატს შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლებები, როგორც ბურჟუაზიამ; განა დაჩაგრულ კლასებს შეუძლიათ თავისუფლებით ასე სარგებლობა, როგორც სარგებლობენ დამჩაგვრელები? მუშები ამბობენ, მაგალითად, რომ თქვენ გაქვთ თავისუფლება, ისარგებლეთ მით, როგორც გინდათ, იმუშავეთ რამდენიც გნებავთ, არ მოგწონთ თქვენ ჩვენი შრომის პირობები, ნუ მიიღებთ, მაგრამ, განა, ამხანაგებო, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ თავისუფლებით? თუ თქვენ მოინდომებთ მის გამოყენებას, სიმშილით დაიხოცებით. ბურჟუაზიამ პარლამენტარულ ქვეყნებში მისცა

მუშათა ცხოვრება

კვირას, 5 აგვისტოს, დილის 7 საათზე „კომუნისტი"-ს თანამშრომელთა და მუშკორთა ექსკურსია მიემგზავრება ზემო-ავჭალაში. ექსკურსანტები უნდა მოგროვდენ ტფილისის სადგურის პირველ კლასის დარბაზში 6 ნახ. საათისათვის.

ჩემს ჩარხს

(მუშის სიმღერა)

დატრიალდი, ჩემო ჩარხო,
იტრიალე შენებურად,
რომ ბედნიერ შრომის შვილმა
ვიმუშაო მხიარულად!

შენს ტრიალში მინდა ჩავკლა
წარსულ დროის დარდი-სევდა,
მტერს ვეგონო ბედქვეშ მყოფი.
შემოვძახებ ზედი-ზედა.

შენ ტრიალობ, მე ვმუშაობ,
ლითონსა ვთლით, როგორც ყველსა,
მცოდნე მუშის მარჯვე ხელი
შენით შექმნის ყველაფერსა.

მაშ, იბრუნე, ჩემო ჩარხო
დაუღლელად, ძველებურად,
მეც ერთგული შენი მუშა,
დაგამღერებ მხიარულად!..

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

რა დღეშია მუშათა სახლი!?

(ქალ. აღმასკომის და საბინაო კოოპერატივის საყურადღებოდ).

ელისაბედის ქუჩაზე № 97 არის სამაგალითო დიდი შენობა, რომელიც წინედ ეკუთვნოდა მოვაჭრე ილარიონ მახარაძეს. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს სახლი ჩამოართვა მახარაძეს და მასში გადასახლდენ რკ. გზის მუშები, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე ამ სახლს არ გააჩნია არავითარი პატრონი ეს სახლი კავშირს არ ეკუთვნის. საჭიროა ამ სახლის კავშირისთვის გადაცემა. რაც შეეხება წყალს, აქ ზოგი მუშა წყლის ფულს არ იხდის. ბინის ქირას ხომ არავინ არ აძლევს და არც არავინ თხოულობს. დგმურები იხდიან მხოლოდ მეეზოვის, წყლის და ნაგვის ფულს, სახლის ქირის მთხოვნელი არავინ არის. მართალია, ეხლა ძნელად მოიძებნება ისეთი სახლი, რომ სახურავი უვარგოდეს, მაგრამ აღნიშნული სახლის სახურავი ისეა დაზიანებული, რომ წვიმის დროს წყალი თავისუფლად ჩამოდის, სახლი ფუჭდება, შარშან, აგვისტოს პირველ რიცხვებში „კომუნისტი"-ს № 197 ნომერშიც მქონდა ამ სახლზე წერილი, რომ გამორკვეულიყო მისი პატრონი ან და გადასცემოდა კავშირს, მაგრამ მაინც დღემდე ვერ გადასწყდა ამ სახლის ბედი. საჭიროა, ეს სახლი ან კავშირს გადაეცეს, ან და თვით მდგმურებისაგან შემდგარი საბინაო ამხანაგობას, რაც იხსნის სახლს წაქცევისაგან.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

თბილისის მებაღე მებოსტნეები.

ამ უკანასკნელ დრომდე მებაღე-მუშები მიტოვებულნი იყვნენ სრულიად უყურადღებოდ. არ არსებობდა მათთვის შრომის დაცვის კანონები; ხაზეინები ამუშავებდენ მუშებს რამდენიც მათ მოესურვებოდათ; რვა საათის სამუშაო დღე აქ არ არსებობდა. მებაღეებს ამუშავებდენ 12 საათს და ხან მეტსაც, ამ არა ნორმალურ მდგომარეობას, როგორც მუშების მხრივ, აგრეთვე მიწა-ტყის კავშირის მიერ მიექცა ყურადღება. და მუშები ჩარიცხულნი იქნენ კავშირის წევრებად; დადებული იქნა მუშებსა და დამქირავებელთ შორის კოლექტიური ხელშეკრულება, რითაც დაქირავებულთ მიეცათ საშუალება გააუმჯობესონ შრომის პირობები, ამ მიზნით კვირას 29 ივლისს მოწვეულ იქნა თბილისის მებაღე-ბოსტნე მუშათა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ მიწა-ტყის კავშირის და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარმომადგენელნი. მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელმა მუშებს გააცნო კოლექტიური ხელ-შეკრულება, რომლის ცხოვრებაში გატარებას ისახავს პროფესიონალური კავშირი და ვალდებულს ჰხდის ბაღების პატრონთ, თანახმად ხელშეკრულებისა, მოსპონ დღემდე არსებული მუშების ექსპლოატაცია.

კოლექტიურ ხელშეკრულების ტექსტის წაკითხვას და გაცნობის შემდეგ მუშებმა სურვილი გამოსთქვეს მიწა-ტყის კავშირმა დასდოს მათი სახელით კოლექტიური ხელშეკრულება; მასთან მოითხოვეს, რათა ხელშეკრულება საჩქაროდ იქნეს გატარებული ცხოვრებაში. კავშირის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ, კომუნისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელმა კრებაზე დამსწრე მუშებს მოუწოდა, რათა შექმნან მათ მოზარდთა მუშების წრე ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელობით, სადაც ერკვევიან მუშები პოლიტიკურ საკითხებში და დაინახავენ იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ ახალგაზრდობისათვის ასეთ კავშირს

მუშებმა მოისმინეს რა ორატორები, განაცხადეს, რომ ხაზეინები აშინებდენ კავშირებში ჩაწერის გამო და მუშებს გულს უცრუებდენ მასზე ეუბნებოდენ რომ ჯამაგირებს მოუკლებენ მათ და სხვა.

ამ საშუალებით ხაზეინებს სურდათ შეეტანათ მუშებში დეზორგანიზაცია. ასეთ დაუშვებელ მოქმედებას ბაღების პატრონების მხრივ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. საჭიროა გაკიცხულ და დასჯილნი იქნან ყველა ისინი, ვინც ხელს უშლიან მუშებს ორგანიზაციულად მოწყობაში და კავშირის წევრებად ჩაწერაში, რათა მომავალში ამისთანა პროვოკაციას არ ჰქონდეს ადგილი მებაღე ხაზეინების მხრივ.

მუშკორი ა. ბე—ძე.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.

ამა წლის 30 ივლისს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის თანამშრომელთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში მთავარ საკითხად იდგა ახლად არჩეულ ადგილკომის ერთი თვის მუშაობის მიმოხილვა.

როგორც გამოირკვა ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ბოცვაძის მოხსენებიდან, თავის მოკლე ხნის განმავლობაში ადგილკომს ბევრი საყურადღებო ღონისძიებანი გაუტარებია ცხოვრებაში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: 1) დაარსებულა წრეები, პროფესიონალურ და პოლიტიკურ განათლების და დრამატიული. 2) გახსნილ იქნა ქართულ ენის შესასწავლი კურსები; 3) მიღებულ იქნა სასტიკი ზომები, რომ ყველა თანამშრომელმა ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებლად ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით; 4) უმტკივნეულად ჩატარებულ იქნა შტატის შემცირება 30 პროცენტით. იმავე დროს შემცირებულ თანამშრომელთა უმეტესობა კავშირის და ადგილკომის განუწყვეტლივ მზრუნველობის შემწეობით უზრუნველყოფილ არიან ადგილებით; 5) მიღებულია წესი თანამშრომლის მიღებისა კავშირში საზოგადო კრების დამოუკიდებლად.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა ის არა სასურველი მოვლენა, რომელსაც აქვს ადგილი კომისარიატში, თანამშრომლების კრებებზე არ დასწრების ან გადამეტებულ დაგვიანების სახით, ყოველივე ამის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს ადგილკომის მუშაობას და ავალებს მას მიიღოს ყოველივე ზომები კრებებზე თანამშრომლების აუცილებლად და სისტემატიურად დასწრებისათვის.

მუშკორი ა. ნ.

შავი-ქვის მრეწველობის საგანგებო სამმართველოში.

ა | წ. 31 ივლის ნაშუადღევის 2 საათზე, შესდგა შავი-ქვის მრეწველობის საგანგებო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კავშირის სახელით კრება გახსნა კავშირისავე წარმომადგენელმა ამხ. კუპატაძემ, კრების თავმჯდომარედ იქნა დასახელებული და არჩეული ამხ. გ. ბიბინეიშვილი, მდივნად ამხ. ი. ჭუმბურიძე დღის წესრიგში იყო დასმული ერთი საკითხი წარმომადგენლის არჩევა სამთო-მადნო კავშირის გაერთიანებულ ადგილობრივ კომიტეტში. მას მიენდობა ყველა ის ფუნქციები, რომელიც ჰქონდა დაწესებულების ადგილობრივ კომიტეტს. წარმომადგენლის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კუპატაძემ, მან აღნიშნა მოქმედება ადგილობრივი კომიტეტისა, მისი მოვალეობა და არჩევის აუცილებლობა. სიტყვის შემდეგ კრებამ წამოაყენა კანდიდატად ამხ. ი. ჭუმბურიძე, რომელიც ერთ-ხმად იქნა არჩეული. ახლად არჩეულს კრებამ უსურვა ენერგიული და მიზან-შეწონილი მუშაობა, რის შემდეგ კრება დაიხურა.

დამსწრე.

ბი, უკანასკნელები ცუდათ ეპყრობიან გლეხებს და ხელ უშლიან მათ მუშაობას. ამიტომ ის სთხოვს კონფერენციას მიიღოს საჭირო ზომები მოსახლეობის მცხოვრებთა შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, უკიდურეს შემთხვევაში წინადადებას იძლევა გადასახლებულ იქნან ღრმა ღელედან ყველა მოხელეები, რათა საშუალება მიეცეს გლეხობას მშვიდობიანი შრომით ცხოვრებისა

შემდეგ გამოდის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის წარმომადგენელი ამხ პ. შიშნიაშვილი და თავის ვრცელ სიტყვაში ხაზს უსვამს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მუშების ეკონომიური ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. ამხანაგმა განმარტა აგრეთვე ელექტროფიკაციის მნიშვნელობა რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრებისათვის და თვით მუშათა და გლეხთათვის მინდვრების და ბაღების მორწყვის მოწყობილობისა ელექტროფიკაციის მხრივ მოუსავლობის და გვალვების თავიდან ასაცილებლად.

ყველა მოქალაქეებს ერთნაირი პოლიტიკური უფლებები, თითქოს ერთნაირი თავისუფლება. მაგრამ მას აქვს ათასგვარი საშუალება, რათა ხელი შეუშალოს მშრომელთა კლასს გამოიყენოს თავისი პოლიტიკური უფლებები. ამიტომ სრულიად უიმედოა ვიფიქროთ, რომ სოციალ-დემოკრატია მიიღებს ხმების უმრავლესობას პარლამენტში, სანამ ძალა-უფლების მთავარი იარაღი (კაპიტალი და არმია) იმყოფება ბურჟუაზიის ხელში!

საერთოთ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, ამხანაგებო, რომ პარლამენტში გადაწყდება კაპიტალიზმის ბედი; ეს ემგვანებოდა იმას, როგორც მაგ. ამას წინად სნოუდენმა შეიტანა ბურჟუაზიულ პარლამენტში წინადადება ინგლისში სოციალიზმის დამყარების შესახებ; მთავრობის თავმჯდომარემ დასცინა მას და უთხრა—გადადევით საკითხი აღდგომამდეო. სასაცილოა ფიქრიც კი, რომ, როდესაც საქმე შეეხება კაპიტალის ექსპროპრიაციას, კაპიტალისტები დაუცდიან კენჭის ყრის შედეგებს, რომ ისინი არ გაწირდიან სოციალისტურ პარტიებს იმდენად, რომ მათ უმრავლესობა ჰყავდეთ პარლამენტში; და თუ საქმე აქამდე მივიდა, იმათ არ შერცხვებათ პარლამენტის გარეკვაც... და შემდეგ ნუ თუ ჩვენ უნდა დავაყოვნოთ რევოლიუცია მანამ, სანამ მცხოვრებთა უმრავლესობა კენჭის ყრით დაუჭერს მხარს სოციალიზმს. ეს ნიშნავდა იმას, რომ უარი გვეთქვა სოციალურ რევოლიუციაზე, აიღეთ მაგალითად გლეხობა. გლეხების პროლეტარიზაცია შედარებით ძალიან ნელის ტემპით სწარმოებს, ვიდრე ქალაქის ხელოსანთა პროლეტარიზაცია, ხოლო გლეხი-მესაკუთრენი ძალიან კონსერვატიულად არიან განწყობილნი დასავლეთ ევროპაში. მაგრამ, თუ იქ დაიწყო ფართო რევოლიუციონური მოძრაობა მუშათა შორის და სურათი ერთბაშად შეიცვლება, ხვალ ღარიბი გლეხებიც აგრეთვე გამოეხმაურება მათ; ხოლო, როდესაც მუშები გაიმარჯვებენ და, როდესაც ღარიბი გლეხობა დაინახავს ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატს, იგი, რა თქმა უნდა. უფრო ხალისიანად დაუჭერს მას მხარს, ვიდრე ბურჟუაზიულ ძალა-უფლებას, ეს დაამტკიცა რუსეთის რევოლიუციამ.

2-ინტერნაციონალის პარტიები ფიქრობდენ, რომ სოციალიზმი ზეციდან ჩამოვარდებოდა, როგორც დამწიფებული ვაშლი, მათ ეშინოდათ ისეთი ნაბიჯების, რომელიც გააძლიერებდა ანარქიას და შეასუსტებდა მრეწველობის განვითარებას. მათ ეშინოდათ საყოველთაო გაფიცვების, ყველაზე მეტად კი მათ ეშინოდათ, რომ პროვოკაციას მათი მხრივ არ გამოეწვია მთავრობის რეაქციონული გამოსვლები, რომ მან არ გაანადგუროს მათი ორგანიზაციები, რომ კონფისკაციით არ ჩამოგვართვას ჩვენი კასები, არ დაგვიხუროს გაზეთებიო. ის, რაც მათ ხელში უნდა ყოფილიყო ბრძოლის იარაღად, გადაიქცა ბორკილებად, რომელმაც მიაჯაჭვა ისინი ბურჟუაზიულ საზოგადოებას; მათი იარაღი დაჟანგდა, ვინაიდან მას არ ხმარობდენ ბრძოლისათვის. გამოდიოდა, რომ საჭირო არ არის გადამწყვეტი ბრძოლა, ვინაიდან იარაღი გაფუჭდებაო, ვინაიდან ჩვენ კასებს დაანგრევენ და გაზეთებს დაგვიხურავენო. ბოლოს და ბოლოს ორგანიზაციები, გაზეთები, საპარლამენტო მანდატები უფრო ძვირფასი ყოფილა, ვიდრე ის საბოლოო მიზანი, რისთვისაც ისინი შეიქმნენ. ამის სამწუხარო შედეგები უკვე გამოჩნდა, როდესაც იფეთქა მსოფლიო ომმა. როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო, აღმოჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს ეშინია ომის წინააღმდეგ ომის დაწყება, თუმცა მსოფლიოს სოციალისტებმა წინად წამოაყენეს პირობა, თუ ვინიცობაა ომი დაიწყებოდა, ისინი გაბედულად შეებრძოლებოდენ ბურჟუაზიას, აღმოჩნდა, რომ თვითეული ქვეყნის სოციალისტური პარტია ებღაუჭებოდა თავის ბურჟუაზიას, ქონდა მას ერთიანი ფრონტი არა სხვა ქვეყნის მუშებთან, არამედ თავის სამშობლოს ბურჟუაზიასთან. არავის არ უნდოდა დაეწყო ბრძოლა ომის წინააღმდეგ გერმანელები ფიქრობდენ, რომ დავიწყოთ ბრძოლა, ერთიც ვნახოთ საფრანგეთმა მხარი არ დაგვიჭირა, მაშინ დაარბევენ ჩვენს სამშობლოსო. ფრანგები ფიქრობდენ, თუ ჩვენ დავიწყეთ და გერმანელებმა მხარი არ დაგვიჭირეს, საფრთხე მოელის ჩვენს რესპუბლიკასო. ეშინოდათ არ დაერბიათ ბურჟუაზიული სამშობლო, სადაც მოიწყვეს ასეთი მდიდარი სოციალისტური ორგანიზაციები. ასე გაკოტრდა 2-ინტერნაციონალი, რომელმაც ასე სახელოვნად დაიწყო თავისი არსებობა.

(და ასრული იქნება)

პროფკავშირებში

ცირკულიარული წერილი № 9.

ყველა პროფ-კავშირთა საბჭოებს, კავშირთა ცენტრ. გამგეობებს და სამაზრო ბიუროებს.

ძვირფასო ამხანაგებო.

ჩვენი ცირკულიარის ა. | წ. 31 ივლისის № 4406, ს. პ. კ. ს. გაცნობებთ, რომ შვებულების დროის ხელფასის განსხვავების მიღების უფლება ეძლევა ყველა იმათ, ვინც ისარგებლა შვებულებით 1 იანვრიდან.

ს. პ. კ. ს მდივანი **ჯუღელი.**

ს. პ. კ. ს. სატ. ეკ. განყ. გამგის მოადგილე **კუტირიოვი.**

ს. პ. კ ს. პრეზიდიუმის მდივანი **გუგუშვილი.**

სატარიფო-ეკონომიური განყოფილება.

სატარიფო ეკონომიურმა განყოფილებამ განმეორებით მიმართა ყველა პროფკავშირს, რომელთა შორის ბევრი კავშირი მუშა-მოსამსახურეთა აგარაკზე დასასვენებელ სახლებში გაგზავნის დროს არ ასრულებს არსებულ წესს, რომ ამიერიდან იხელმძღვანელონ საბჭოს მიერ შემუშავებულ წესით და მისი მიხედვით გაგზავნონ მუშები დასასვენებლად. განყოფილება მოაგონებს პროფ-კავშირებს, რომ დასასვენებლად გაგზავნონ მუშათა შორის 75 პროც. ფიზიკური შრომის მუშაკები უნდა დანარჩენი 25 პროც გონებრივი.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ მუშათა რაოდენობა სამ თვეში

სამი თვის განმავლობაში (მაისი, ივნისი, ივლისი) დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ მუშათა რაოდენობა შემდეგია:

მცხეთაში ტფილისიდან გაგზავნილია 797 კაცი რკინის გზის მუშები 119 კაცი, პროვინციიდან 1 კაცი. სულ მცხეთაში დასასვენებელი ყოფილა გაგზავნილი 917 კ. წაღვერის დასასვენებელ სახლებში—რკინისგზელები—100 კაცი ტფილისის პროფკავშირებიდან გაიგზავნა—79—და პროვინციებიდან—47 კაც. სულ წაღვერის სახლებში დასასვენებლად გაგზავნილთა რიცხვი 226-ია.

ბორჯომის სახლებში დაუსვენია სულ 150 მუშას; აქედან ტფილისიდან ყოფილა გაგზავნილი 39 კაცი, რკინისგზიდან—60 კაცი და პროვინციიდან—51 კაცი.

ყველა სახლებში დასასვენებლად გაგზავნილ მუშა-მოსამსახურეების რაოდენობა 1293 კაც. აღწევს, ამ რიცხვიდან რკ. გზის მუშები შეადგენენ 279, ტფილისიდან გაგზავნილები 915, ხოლო პროვინციიდან 99 კაცს.

ზემო-ქვების კავშირში.
მუშაკების ყრილობა.

გემო-ქვების კავშირი ამ მოკლე ხანში იწვევს თავის მუშა-კორესპონდენტების ყრილობას, რომლის მთავარი დანიშნულებაა პროფესიონალური კორესპონდენტების კადრის შექმნა ყრილობაზე წაკითხული იქნება მოხსენება საგაზეთო მუშაობის შესახებ. ყრილობის მოწვევა მიენდო ამხ. მელიკეტინს.

ბიბლიოთეკების შესახებ.

ვინაიდან კავშირის განკარგულებაში მყოფი ბიბლიოთეკები წიგნების ნაკლებობის გამო სანახევროდ ვერ აკმაყოფილებდა მკითხველ ამხანაგების მოთხოვნილებას, კავშირმა ახალი ლიტერატურის შესაძენად თანხა გადასდო.

პროვინციაში

სამტრედია.

სამტრედია გასაბჭოების შემდეგ საგრძნობლად გამოიცვალა. თუ წინეთ ის ქალაქათ მხოლოდ სიტყვით იყო აღიარებული, დღეს სინამდვილეში ქალაქია. ვიწრო, უსწორ-მასწორო ქუჩები საკმაო დიდ მანძილზე გასწორებული და გაფართოებულია. პატარა, მუდამ კაპრიზიან, უხეირო ელექტრონის მოტორის, ნაცვლად, აშენებულია საუკეთესო ელექტრონის სადგური მძლავრი მოტორით, რომელიც მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას და გაანათებს ქალაქის თითქმის ყველა უბნებს.

საავადმყოფო, რომელიც წინეთ მოთავსებული იყო ქალაქის ერთ-ერთ განაპირა ქუჩის უხეირო, ნესტიან სახლში და ძლივ იტევდა 5-6 ავადმყოფს, ამ ჟამად გადატანილია ცენტრში, დიდ, ორსართულიან შენობაში და მით სარგებლობს როგორც ქალაქის, ისე განაპირა კუთხეების ფართო საზოგადოება.

აღმასკომი უკვე შეუდგა ტეხნიკუმის აშენებას და, თუ ასეთი სისწრაფით, გაგრძელდა მუშაობა, უნდა მოველოდეთ მის მალე დამთავრებას, თუმც დიდ შრომას და ხარჯებს მოითხოვს ეს საქმე.

ეკლესიები, როგორც ქალაქის, ისე მისი რაიონისა, თითქმის ყველა დახურულია და მის მაგიერ სამკითხველო და კლუბებია დაარსებული. მუშა ხალხმა აქ ადრევე გაითვალისწინა ეკლესიის არსებობის დამოუკიდებლი შედეგები და მასიურ კრებებზე გამოტანილ დადგენილებით სამუდამოთ მიახურა მისი კარები. მიწის კომიტეტმა საკმაო უნარიანობა გამოიჩინა თავის დარგში. მათ ბევრი პროლეტარი მუშა და გლეხი დაასახლეს წიფნარის უბანში. ახლად დასახლებული მთელი კოლონიაა. ისე სხვა უბნებშიც ბევრი მუშა ხალხია დაბინავებული.

ქალაქს თეატრი დროებით ახლად გახსნილ მუსიკალურ სკოლას გადაეცა, ამ შენობაში, ზაფხულის განმავლობაში, საბჭოთა დაწესებულებათა პროფ-კავშირთან არსებულ დრამატიულ წრის მიერ სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ. უნდა ითქვას, უფრო ხშირად, იდგმებოდა დრო მოჭმული, ამ დროისთვის შეუფერებელი პიესები. ეს ნაკლი, თუ შემდეგისთვის დასის შენახვა შესაძლებელი იქნა, გამოსწორდება, მით უმეტეს, რომ ამ დასის მფარველობას კისრულობენ ყველა დარგის პროფ-კავშირები.

მუსიკალურ სასწავლებელს, რომელსაც უკვე ეჩნევა ბურჟუაზიული ზეგავლენა, საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი საბოლოოთ გამოირკვეს

საშა მაიხელი,

ს. ჯუნჯუათი (გურია)

ეს სოფელი ქ. ლანჩხუთიდან ორი ვერსით არის დაშორებული, მდებარეობით ორ ნაწილად განიყოფება: ერთი ნაწილი—ეწერი—მაღლობზე არის მოთავსებული, მეორე ნაწილი კი დაბლობში.

განათლების მხრივ ეს სოფელი გურიის სხვა სოფლებს არ ჩამორჩება. აქ არსებობს 1910 წლიდგან ოთხ წლიანი შრომის სკოლა, უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო და კოოპერატივი. სკოლაში სწავლობს ოთხმოცამდე მოწაფე.

სკოლა აშენებულია თავიდანვე დაბალ და ჰიგიენის მხრივ შეუფერებელ ადგილას, სახელდობრ ის მდებარეობს — სასაფლაოსთან ახლოს მთებით შემოფარგლულ ადგილას, რის გამო მზე ადგება მხოლოდ ნასადილევს, გარშემო სინესტეა, რაც ცუდათ მოქმედებს ბავშვთა ჯანსაღობაზე სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ყოველ წლობით მოწაფეთა საგრძნობი რიცხვი ავად ხდება ციებ-ცხელებით და სურავანდით.

ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება შეგნებული მუშების და გლეხობისა ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, მაგრამ მაშინ ვერ იქმნა გამონახული ამ მდგომარეობიდგან გამოსავალი გზები. ამ ჟამად კი აღნიშნულ სოფლის მუშა-გლეხობის სათანადო თხოვნით შემდეგ ოზურგ თის მაზრის განყოფილებამ შეადგინა სპეციალური კომისია—ექიმის თანხლებით, რომელსაც დაევალა გამოეკვლია დაწვრილებით პირობები და სკოლა შესაფერ ადგილზე გადაეტანა. ამ კომისიამ სკოლისთვის შესაფერი ადგილი გამონახა და მიზანშეწონილად იცნო სკოლის იქ გადატანა.

როდესაც ეს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოეყვანათ ზოგიერთ ვაჟბატონებმა მოუნდომეს ამ საქმეს ჩაშლა-დაფუშვა და ისინი უმტკიცებდენ განათლების სახალხო კომისარიატს ამ გადაწყვეტილების უსაფუძვლობას, სცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ განათლების კომისარიატი, რომლის წინაშეც აღძრეს შუამდგომლობა ამ დადგენილების დარღვევის შესახებ. ამან გამოიწვია საქმის შეფერხება. გვაქვს რა მხედველობაში ს. ჯუნჯუათის მშრომელ მუშა გლეხობის ბავშვთა სწავლა-განათლების სათანადო კარგ და ჰიგიენურ პირობებში ჩაყენება, იმედი გვაქვს რომ ინსტრუქტორი, რომელიც გაგზავნილია სახალხო განათლების კომისარიატის მიერ ადგილობრივ ყოველ მხრივ გამოიკვლევს ამ საქმეს და საკითხის სასურველად გადასწყვეტს ზოგიერთ ვაჟბატონების ბოროტ სურვილების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ამ საქმის შეფერხება.

ვინმე.

ნაციონალ-დემოკრატების პარტიაში
(წერილები რედაქციის მიმართ)

პატივცემულო მოქ რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოგვითავსოთ შემდეგი:

„ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრები ღრმად დავრწმუნდით რა ავანტიურისტულ ტაქტიკაში, რომელსაც უკანასკნელ დრომდე ატარებს რამდენიმე პირთა ერთი ჯგუფი, რომელმაც მიითვისა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელწოდება,—ტაქტიკაში, რომელსაც ყოველთვის უმალავდენ არა მარტო მშრომელ ხალხს, არამედ პარტიის წევრთა უმრავლესობას, ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ამიერიდან არაფერი საერთო არ გვინდა გვქონდეს ამ პარტიასთან და მთელი ხალხის წინაშე შერცხვენას უთვლით თვითნებურათ შედგენილ „ცეკას" და მის მოქმედებას, ფეოდალურ თავადურ ხროვას ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდებისათვის დახმარების „სამხედრო" ავანტიურების მომზადებაში მონაწილეობის ა. წ. დასაწყისში სად. ბოსლევში მატარებელში მყოფ მგზავრების გაძარცვაში მონაწილეობის და სხვათა გამო. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი პარტიის დანარჩენი შეგნებული ნაწილი იმ პარტიის, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნოდით, წაბაძავს ჩვენ მაგალითს და ამით დაამტკიცებს, რომ „ცეკ ს" დანაშაულებრივი პოლიტიკას არ აქვს თანაგრძნობა პარტიულ მასებში და რომ მთელი ქართველი ხალხი სათანადო პასუხს გასცემს უპასუხისმგებლო პირთა ყოველგვარ ცდას, ააჯხედროს იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც არის ერთად ერთი დამცველი მშრომელთა ხალხის ინტერესების.

1. ვაშაკიძე ბესარიონ 1919 წლ.
2. ჯანდიერი ნიკოლოზ 1918 წ.
3. გველესიანი სვიმონ 1917 წ.

პატივცემულო მოქალაქე რედაქტორო.

გთხოვთ თქვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი.

1918 წელში მე ვიყავი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი. ჯერ კიდევ მაშინ მე უშუალოთ შევნიშნე, რომ ამ პარტიის მოქმედება მიმართული იყო საქართველოს მშრომელ მასების ინტერესების წინააღმდეგ, რისთვისაც მე 1919 წლის ივლისში გამოვედი პარტიიდან (გაზ. „ერთობა" 1919 წ. 5 ივლისი).

დავრჩი რა ამის შემდეგ უპარტიო და არ მიმეშავნია რა არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, მით უმეტეს ანტი-საბჭოთა ორგანიზაციაში, ჩაუკვირდი საქართველოს ცხოვრებას, და დავინახე რა საბჭოთა აღმშენებლობის მთელი სიძლიერე, დავრწმუნდი, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად-ერთი დამცველი საქართველოს მშრომელ მასების ინტერესებისა; აქედან ცხადია, რომ ეროვნულ-დემოკრატების ერთი ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს ეროვნულ დემოკრატების „ცეკას", არის ნამდვილი, უაზრო ავანტიურა, ვინაიდან რა არის თუ არა ავანტიურა მათი მხრივ ჩოლოყაშვილის ბანდებისათვის მხარის დაჭერა, „სამხედრო შეთქმულებათა" ორგანიზაცია, მგზავრებზე აშკარა თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა (სად. ბოსლევი)!..

ეს მოვლენები, რომელსაც ეწირება აურაცხელი მსხვერპლი, ხელს უშლის და აფერხებს საქართველოს აღმშენებლობას. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დანაშაულებრივი მოღვაწეობა, გარდა იმ ხალხის ზარალისა რომლის კეთილდღეობ ზე ის ვითომ და ზრუნავს, არაფერს არ მოიტანს.

ვუთვლი რა შერცხვენას ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში დარჩენილ წევრების არალეგალურ მოღვაწეობას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წევრების დიდი ნაწილი დასტოვებს ამ პარტიის რიგებს და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მის აღმშენებლობაში ხელის შეწყობით, დაამტკიცებს საქართველოს მშრომელ მასებისადმი თავის სიყვარულს და ერთგულებას.

ივანე ნახიძე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— კვირას, 5 აგვისტოს, შესდგება ექსკურსია მუზეუმში. ყველა დელეგატი ქალები უნდა შეგროვდენ 4 რაიკომში დილის 8 ნახ საათზე.

— ორშაბათს, 6 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე შესდგება 4 რაიკომის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

ქალთა ყველა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ქალთა განყოფილების გამგის მაგ. პენიაკოვა.

— წინადადება ეძლევა სერგო გაგლოევს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ქეთიკო და ანნა ვარდოსანიძენი, პავლე ცინცაძე და კონსტანტინე, ნინო და ელენა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეგობრებს, პირველნი ორნი—დაუვიწყარი შვილის, მეორე—უსაყვარლესი ცოლის და მესამენი—საძნი ძვირფასი დის—მე 25 შრომის სკოლის მასწავლებლის

შუშანას

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას გთხოვენ მობრძანდეთ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას, სახლი № 23 განოვის ქუჩაზე დღეს კვირას—ნაშუადღევის 4 საათზე; პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

კრ. 1043 1—1

შინაგან საქმეთა სახალხ კომისარიატი

აცხადებს, რომ 9 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, კ
სარიატის ბინაზე, ოთახი № 16, დანიშნულია სიტყვ

საჯარო ვაჭრობ

გამომცხვარი პურისა, ხორცისა დ სხვა სანოვაგის მიწოდებაზე

ქალაქ ტფილისის № 1 და 2 გამასწორებელ სახლებში მყოფ
მართა და მათ ყურისმგდებელ პერსონალისათვის 1923—24

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა
ცხადებები უნდა წარმოადგინონ 9 აგვისტოს შუადღის 12 საათ

საჯარო ვაჭრობის და სანოვაგის რაოდენობის შესახებ ცნ
ბის მიღება შეიძლება ყოველდღე შინაგან საქმეთა სახალხო კო
რიატში.

უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ხელ ახალი ვაჭრობა
დება ორშაბათს 13 აგვისტოს დღის 12 საათზე.

556 2—1.

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერ ნდობის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს რომ თანახმად 18 მარტის 1923 წ. წევრთა საზოგადო კრების დ
ნილებისა საზოგადოების ყოფილი კლიენტები ვალდებულნი არიან გა
1 იანვრამდე 1924 წ. თავიანთი პასიური ანგარიშები (ანაბარი, სახ
ხელო ანგ და სხვა) რაც ირიცხებოდა ბანკში 25 თებერვლამდე 192
წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოხსენებული თანხები ჩამოიწერება ბალან
და გადატანილი იქნება ბანკის სათადარიგო თანხად.

1040 1—1. გამგეობა

თბ. აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს სამეურნეო სექცია

ამით აცხადებს, რომ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

15,000 ფუთი თივის, 6,000 ფუთი ქერის და 2,000 ფ. ბზის დასამზადებლად.

დამზადების პირობები შეიძლება გაიცნოთ სამეურნეო სექციაში მადათოვის კუნძული № 1. საჯარო ვაჭრობა მოხდება აღნიშნულ მისამართით 8 აგვისტოს შუადღის 12 საათზე.

კრ. 555 3—3 უ. ქ. ს.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგ საამშენებლო კომიტეტი ამით აცხადებ

საჯარო ვაჭრობა

12 ცალი მუდმივი ნაკადიანი 440 ვოლტ. და 15 ც
ძალიანი ელექტრო-მატორის მისაწოდებლად

მიწოდების ვადა 1 ნახ. თვეს არ აღემატება. საჭირო
რო მამოძრავებელთა ვრცელი სიის მიღება შეიძლება ზემო-ა
ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საამშენებლო კომიტეტის
ოების სამმართველოს მატერიალურ ნაწილში (ლადო დუმბაძ
№ 3). ყოველ დღე სამსახურის საათებში.

წინადადებანი როგორც ნაწილობრივი, ისე მთლიანი უნდ
წარდგენილი კომიტეტში (ლ. დუმბაძის ქუჩა, 3) არა უგვიან
20 აგვისტოს შუადღის 12 საათისა დაბეჭდილ კონვერტებშ
დეგი წარწერით: ,,საჯარო ვაჭრობისათვის ელექტრო-მამოძრ
თა მისაწოდებლად''.

წინადადებაში ფასები უნდა იქნას ნაჩვენები ჩერვონცებით
კო—ტფილისში ცალ-ცალკე თითეულ ელექტრო-მამოძრავებ
თვის და სავალდებულოა როგორც სრული, ისე ნაწილობრ
კვეთისათვის.

კრ. 5

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სე
რის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკ
კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნ
0—15

ელექტრონის ხინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ხირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ
დმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის**
სნელობით ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—

სახლი
თავისუფალი ბინებით საჩქაროდ და იაფად იყიდება. ვისაც სუ
და გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუჩაზე № 3, ბინა
11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
გაყიდვა განახლდა.
კვ. 1045

თბილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე (მუ
იწვევს ამის გამოქვეყნების დღიდან 2 თვის განმავლობაში უგზო
დაკარგულს მუშებ ასატურას ძე კონსტანიანცს როგორც მოპასუ
ცოლის ზუმრედ სარქისას ასული ნარიანიანცის საჩივრის გამო გა
სახებ. 1

დაეკარგა მე-4 კლასის მოწაფის მოწმობა, მოცემულ
შის სასწავლებლიდან № 147 ამბროსი სამ
რაზმაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1046 1—

დაეკარგა პასპორტი, მიღებული ქ გუმბრში აკოფ ქ
ძე ხაჩატურიანისა. ჩაითვალოს გაუქმებული
1044 1—

დაეკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი საბჭოთა მოსამსა
სექცია ალექსანდრა კალატოზოვისას სახელ
თვალოს გაუქმებულად. 1042 1

„ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კ.-ჯ. ხეზ შტეინის ქუჩა № 4